[illegible]

[illegible] ([illegible])

[illegible]

„[illegible]" (1915)

„[illegible]" (1916-1917)

„[illegible]" (1917)

I. [illegible] (ভাদ্র [illegible] 1915 খৃঃ)

II. [illegible] (" [illegible] 1916 খৃঃ ২, ৩, ২৬.)

[illegible] ৬ (" [illegible]) ১০

[illegible] ৪, 5, 6, 8, ৯, 10

[illegible]

1. [illegible] 1917 N 3. [illegible] N 1.

2. [illegible] (N 14)

3. [illegible] (N 14)

4. [illegible] (N 11)

5. [illegible] (N 13)

6. [illegible] 1916 N 3 [illegible] 1917 N 3. [illegible]

[illegible] (1916 N 5)

8. [illegible] 1917 N 2 [illegible] 14

9. [illegible] 1917 N 3

10. [illegible] 1915 N 3 [illegible] 12

წელიწადი პირველი.

განთიადი.

ორკვირეული
სამეცნიერო, სალიტერატურო
და საპოლიტიკო ჟურნალი.

1 იანვარი
1915

№ 1.

შინაარსი:

1. მოწინავე.
2. საახალწლო — ხომლელისა.
3. ბრწყინვალე მომავლისკენ — ივ. ი — იანი.
4. ჩემს ქვეყანას — ჩახრუხაძისა.
5. იძულებითი განმარტება — იაკ. ფანცხავასი.
6. ქართული გიმნაზიის გადაკეთების შესახებ — ვასილ წერეთლისა.
7. ადამიანის სხეულის სანიტარები — მკურნალი ბადრიძისა
8- ჩერნიშევსკი და მიხაილოვი — E. N.-ისა.
9. † ლევან კანსტანტინესძე ზუბალაშვილი.
10. ომის მატიანე.
11. კრიტიკა: აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი — ხომლელისა.
12. ახლო აღმოსავლეთით. — გულკეთილისა.
13. ქართული თეატრი ილიკოსი.

ჟურნალ-გაზეთების განცხადებების მოთავსება ამ ნუმერში ვერ მოვასწარით მაგრამ შემდეგ ნუმერში უთუოდ დავსტამბავთ.

წელიწადი პირველი.

№ 1

პირველი იანვარი 1915 წ.

განთიადი,

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

5250

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук

ქუთაისი.

სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქუჩა სახლი ჩარექოვისა.

1915 წ.

ქუთაისი. 1 იანვარი.

ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენში ბეჭდითი სიტყვის მდგომარეობა მეტათ მძიმე პირობებშია ჩაყენებული: ათასი მოსალოდნელი და არა მოსალოდნელი დაბრკოლება ელობება წინ რედაქციას და მის წესიერ მუშაობას ხელს უშლის, აბორძიკებს და უფრო ხშირათ კი აძინებს... სამუდამო ძილით.

ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ეს მოვლენა ჩვეულებრივ მოვლენათ არის მიჩნეული და, თითქმის რომ აღარავის ეჩოთირება. შევეჩვიეთ, აღარაფერი არ გვაკვირვებს; ან რა უნდა მოხთეს იმ გვარი, რომ არ მომხდარიყოს, და, აბა, გაკვირვება რაღას მაქნისია? ამის ბრალია ისიც, რომ ჟურნალ-გაზეთების უბადრუკი მდგომარეობა არ აკვირვებს ჩვენს დროში ვისმეს. ყველამ იცის, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სულ რამდენიმე გამონაკლისს, ჩვენში ყოველივე ორგანო საზოგადოების დღე ნაკლული შვილია, — რომელიც დაბადებისთანვე კვდება.

ამ გვარი სვე-ბედი ბეჭდითი სიტყვისა, ორმაგ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა დღეს, როდესაც დედა მიწა ძიგძიგობს და ირწყვის ჩვენი მამების, ძმებისა და შვილების სისხლით. რედაქციამ კარგათ იცის და მართლადაც წონის დღეინდელი დღის სიმძიმეს. მაგრამ, მიუხედავათ ზემოხსენებულისა, ჩვენ

მაინც ვებმით მძიმე უღელში და ვკიდებთ ხელს ამ ულმობელ პირობებში ჟურნალის გამოცემას და აი რატომ:

მართალია, ცხოვრება მოდუნებულია, ჰაერი გაჟღენთილია სისხლით, შურით და სამარებრივი სიცივით, მაგრამ თუ სიცოცხლე კიდევ გვსურს, სწორეთ ახლა, ამ ჯოჯოხეთურ წუთებში უნდა ამოვიღოთ ადამიანის ენა, რომ გავმხნევდეთ, ავამუშაოთ გრძნობა და გონება, არ დავეცეთ სულით, რადგან დაცემა სიკვდილია. სიკვდილი კი ჩვენ გვეზიზღება, არ გვსურს. ცოცხალმა კი აუცილებლათ უნდა იმუშაოს. ჩვენც ვიმუშავებთ, ვიმუშავებთ გულწრფელათ, თავის გონებისა, გრძნობისა და ძალღონის შესაფერათ, ეროვნების სასარგებლოთ და სადღეგრძელოთ. და, თუ საზოგადოებაც ყურათღებას არ მოგვაკლებს და თვისი გულცივობით არ გაგვყინავს, ვიმედოვნებთ, საქმეც რიგიანათ წაგვივა.

მაშ, სალამი ძვირფასო, მკითხველო! ბედნიერი გზა გვისურვე თქვენსკენ მომავალს!

საახალწლო.

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი! ფეხი ჩემი — ფეხი ანგელოზისა!“ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში საახალწლო მილოცვა ყოველგან ამ შვენიერი სიტყვებით იწყება და ჩვენი ახალი ჟურნალი და მისი რედაქცია სწორეთ ამ სიტყვებით მოვდივართ თქვენს ოჯახში და მოგიძღვნით **„განთიადს“**.

კარზე დარაკუნებისთანვე გაგვიღეთ იგი, მიგვიღეთ გულმხურვალეთ, ნათესაურათ და შეგვიპატიჟეთ გახურებულ ბუხართან, რომელშიაც გამხმარს რცხილის შეშას გაპრიალებული ცეცხლისგან საამური ტკაცანი გაუდიოდეს და დღეს მხიარულათ ერთად თქვენცა და ჩვენც ხმაშეწყობილათ შემოვძახოთ:

„გამხიარულდი ბუხარო!
გულჩახვეული ნუ ხარო!
მცივანა ზამთარს უყვარხარ
და არც ცხელ ზაფხულს ძულხარო!..“

და მოვყვეთ გულახდილათ მეგობრულ საუბარს. მართალია, ეს ჩვენი საუბარი „ზოგს ეტკბილება, ზოგს არა“ მაგრამ რა ჩვენი ბრალია.

მე გულით მსურს ჩვენი ახალი ჟურნალის შესახებ გესაუბროთ და გთხოვთ მცირეოდენ ყურათღებას, რომ ბევრი ფილოსოფიით არ დაგღალოთ.

ეს ჩვენი ჟურნალი „განთიადი“ იქნება ქართველი ერის ცხოვრების მაჯისცემის. ჩვენი მშრომელი

დემოკრატიის გრძნობა გონების, შემოქმედებითი მუშაობის მწერლობაში გამომხატველი. ეს საზოგადოებრივი მუშაობა ერთობ უნუგეშო მდგომარეობაში არის ამ ჟამათ ჩაყენებული. ამ გარემოებას მივაქცევთ უმთავრეს ჩვენს ყურათღებას, რომ ცხოვრება ჩვენი, მართლაც, რიგიან ცხოვრებას დაემსგავსოს და არა მხეცთა და ტყის ნადირთა სათარეშოს. მოგეხსენებათ, საცა წესიერება დარღვეულია და უსაზღვრო თვითნებობა, მოუხეშავი ურთიერთობა იჭერს მეთაურობის ადგილს, იქ სულდათქმული მოქალაქობრივი მუშაობა, ვაჭრობა-მრეწველობა, რაციონალური მეურნობა, მეცნიერება და ლიტერატურა ვერას გზით ვერ აღორძინდება, რაც უნდა ეცადოს ადამიანმა.

ჩვენ ამ დიდ საქვეყნო საგნის შესახებ, შეძლებისადაგვარათ, ვეცდებით გამოვთქვათ ჩვენი აზრები და გულისნადები, ჩვენი მრწამსი. და ამით უფრო ცხადს ვყოფთ ჩვენს გზასაც, რასაკვირველია.

ჩვენ ვეცდებით ვიმუშაოთ ამ ასპარეზზე საერთო ეროვნულ თვით-გამორკვევისა და აღორძინებისთვის... მაგრამ „გარემოებისა გამო სხვისა და სხვისა“, თუ სავსებით ბოლომდი ვერ გამოვთქვით ლიტერატურაში ბევრჯელ ნათლათ და ყველას გასაგებათ ის, რაც ნამდვილ მოთხოვნილებათ გადაქცევია ჩვენებურ მშრომელ კაცს, წინდაწინვე მკითხველს ვთხოვთ, ნუ შეგვრისხავს, ნუ განგვსჯის უცოდველის, მკაცრი მორალისტის და დოგმატიკობის წარბშეუხრელობით...

ჩვენ ვეცდებით ჩვენი ცხოვრების დიფერენციაციას ყური ფრთხილათ ვათხოვოთ და მისგან შექნილი სხვა და სხვა კლასობრივი ერთეულები შეძლებისადაგვარათ ჩამოვაყალიბოთ, გავარკვიოთ მათი იდეოლოგები, რომ მივანიჭოთ იმათ შესაფერი ადგილი ქართულს ლიტერატურაში.

აი, ეს დიდი საგანი, ეს ჩვენი ტრფიალი, ეს ჩვენი სულის და გულის დიადი წყურვილი გვინდა გამოვხატოთ ქართული ენის მდიდარს და შვენიერს, სუბუქს ფორმებში, რომ ჩვენი ხმა ყველამ ნათლათ გაიგონოს და შეისმინოს.

მაგრამ ამავე დროს ერთი დიადი, წმიდა და უალრესი სამლოცველო და ჭეშმარიტება ჩვენთვის ჩვენი საკუთარი **ეროვნებაა.**

ჩვენი ეროვნება, მრავალტანჯული ქართველი ერი იპყრობს მთელ ჩვენს ყურათლებას; ეს ჩვენი ერი სხვა დაჩაგრულ ეროვნებათა შორის წარმოადგენს განსაკუთრებულს ინდივიდუალურ ერთეულს და ჩვენი ჟურნალი ამ თავის სამლოცველოს უერთგულებს, რასაკვირველია.

ეს გახლავთ ინდივიდუალიზმი ჩვენი ეტიკო-პოლიტიკური ცხოვრებისა და ინდივიდუალიზმი მხატვრულ-შემოქმედების განსახიერებისაც სწორეთ ისე, როგორც ინდივიდუალიზმი მეცნიერებაში (საზოგადო ეკონომიკის სფეროში კოლეკტივიზმის მომხრე ვართ). ამ ჩვენი დროის მებრძოლი ინდივიდუალიზმი, ახალი ინდივიდუალიზმი **ქართველი პროლეტარიატისა** საქართველოშიც უნდა გამოვიდეს გაბედულათ ცხოვ-

რების მოედანზე, მიუცილებლათ და ეს ინდივიდუ-
ალიზმი მიანიჭებს და დაუმკვიდრებს ჩვენი ერის სა-
მერმისო კლასებს წმინდა ქართული სულის აღორ-
ძინებას და დიდს, მდიდარს, გადაშლილს შვენიერე-
ბასაც.

ჩვენი ჟურნალი შეტრფის და ემსახურება ჭეშმა-
რიტ და სრულ ქართულ მოქალაქობრივობას, ქარო-
ველის სრულ გაევროპიელებას ყოველ სფეროში:
თავისუფალ გავითარებას ეროვნულ ნიადაგზე, სუ-
ლიერ კულტურას, მეცნიერებასა და ლიტერატურა-
ში; ამასთანავე ამ ქართველი კაცის პირად დაქვე-
მდებარებას საერთო ამხანაგობის, კოლეკტიურ შრო-
მის წარმოებასა და განაწილებაში სამერმისოთ...

მხატვრობა-მეცნიერების, საერთო სამართლიანო-
ბის შედეგებს, რა თქმა უნდა, ქართველი მოქალაქეც
ვერ გაექცევა. ჩვენი აზრით, ადამიანის ტალანტის,
ცოდნის ძალა და მნიშვნელობა დიდსა და მდიდარს
ნიადაგს მოიპოვებს მხოლოთ კოლეკტიურ ეკონო-
მიურს ორგანიზაციაში. იქ ადამიანის უფლება და
ვალდებულებაც ხორცს შეისხამს, რადგან კოოპერა-
ციებისა და ამხანაგობათა ერთს დიდს ორგანიზაცი-
აშია მოქალაქის მერმისი და წარმოებრივი ძალთა
ურთიერთობაც იქ გაიკვლევს თავისუფალ გზას...

აქ, ამ ახალს ჟურნალში ჩვენ ჩვეულებრივს
ერთხელვე მიღებულ სალიტერატურო იარაღებს
ვიხმართ. მწერლობის სხვა და სხვა კილოს ვერც ჩვენ
გავექცევით: სიყვარული, თუ სიძულვილი, წყრომა
და ვაება, წყევა და კრულვა, ლოცვა და ვედრება,

გოდება და ყვედრება, მოწონება და ქება, სატირა, ირონია და იუმორი -ყველას და ყველაფერს წავატანთ ხელს და დაურიდებლათ გამოვიყენებთ ჩვენი ლიტერატურული მოღვაწეობის დროს.

ჩვენ არ მოვერიდებით არც ზიზღის და მძულვარების გამოთქმას, არც აღტაცების და ენტუზიაზმის გამოხატვას. არ დავერიდებით, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მძულვარების, ზიზღის, ან აღტაცების და ენტუზიაზმის **ნიჭიერათ** გამოხატვა ლიტერატურაში ძალიან დიდი და მადლაინი საქმეა, თუ ამას ვიწრო პირადი კი არა, საზოგადოებრივი ხასიათი და შინაარსი ექნება... სწორეთ ამიტომაც, ჩვენთვის სულერთია, რომელი პარტიის ნიჭიერი მწერალი გამოთქვამს ამ ჩვენს ჟურნალში ამ ზიზღს და სიძულვილს, ან აღტაცებას და ენტუზიაზმს...

ერთი სიტყვით, „განთიადი", როგორც საზოგადო ეროვნული, პროგრესიული და დემოკრიტული ჟურნალი თავდადებული იქნება ჩვენი ერის კულტურულ განახლებისთვის, გაევროპიელებისთვის და დიდს ყურათღებას მიაქცევს ჩვენი სამერმისო კლასების—ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის და პროლეტარ ატის, ფართო მშრომელი მასის ინტერესებს სოფლათ. დაბათ და ქალაქათ.

ამასთანავე „განთიადი" ღრმათ დარწმუნებულია იმაშიც, რომ ქართველი ერის ბედნიერება მჭიდროთ გადაბმულია სხვა ერების, ნამეტურ მეზობლათ მცხოვრები ერების ბედნიერებაზე და იგი გულწრფელათ

და წმიდათაც ემსახურება მათ შორის დაარსებულ კულტურულ ურთი-ერთობას და კავშირს.

ხომლელი.

ბრწყინვალე მომავლისაკენ.

(მ ო თ ხ რ ო ბ ა).

I.

კნეინა ბაბო შეძლებული თავადის ქვრივია—შუა ხნის მანდილოსანი. მიუხედავათ წლებისა მას კიდევ შერჩენია ბევრი ისეთი თვისება, რითაც იგი დღემდე იპყრობს ერთგვარ გემოვნების მამაკაცთა ყურათღებას. მაღალი გულ-მკერდი, რგვალი სუქანი მხარ-ბეჭი და ბადრ მთვარესავით სავსე სახე, რომელსაც აშვენებენ ლმობიერებისა და კმაყოფილების გამომხატველი დიდრონი შავი თვალები. ამას დაუმატეთ დარ-ბაისლური, თაფლივით ტკბილი ლაპარაკი—ბაბოს ერთი საყურათღებო თვისება. ნახევარი საათის მასთან საუბარი თქვენ დაგარწმუნებს, რომ კნეინა ცხოვრებას არ ჩამორჩენია. მაგალითად, სამშობლო მას მეტისმეტათ უყვარს და ხშირათ გულწრფელ სიტყვებში აღიარებს ხოლმე ქართველი ქალის მოვალეობას მამულის წინაშე.

თავის რწმენას ბაბო როდი ფარავს. პირიქით, ხშირათ მოურიდებელის პირდაპიროობით აღიარებს მას. აი, ერთი მაგალითი: ერთხელ, ნავახშმევს, კნეინამ ასეთი გულისწყრომით მიმართა ერთს დიდათ პატივცემულ სტუმარს, ღრმათ მოხუცებულ ქართველ ღენერალს: „კნიაზ გრიგოლ, საქართველოს გათავისუფლება თქვენი და თქვენისთანა პირების ვალია და რატომ არაფერს ფიქრობთ ამ უწმინდეს მოვალეობაზეო“.

ასეთი სიტყვებით ბაბოს ბევრჯელ მიუმართავს თავად-

აზნაურთა წინამძღოლისთვის, ქალაქის თავისთვის და ბევრ სხვა წარჩინებულ პირთათვის. მაგრამ საიმედო პასუხი არაოდეს არ მიუღია.

ბაბოს თავის წრეში ბევრი თაყვანისმცემელი ყავს და რა გასაკვირალია, რომ ამ წრის გარეშე რამდენიმე დამზრახველიც ყავდეს. მდაბიო ხალხში ხმა დადის, თითქო კნეინას სამარცხვინო კავშირი ქონდეს თავის მოურავთან. მაგრამ ეს ხმა ყოვლათ შეუწყნარებელია.

ბაბო უხვი, ხელგაშლილია. კვირაში ერთხელ მაინც რომ არ მოიწვიოს სტუმრები, შეუძლებელია. მოუწვეველ სტუმარს ყოველ დღე ნახავთ მის ოჯახში. კნეინა ყველას გულუხვათ უმასპინძლდება.

არც მთხოვნელი ძულს მას. არ ყოფილა ისეთი დღე, რომ კნეინას თუ ხურდა ფული ჰქონებია, მთხოვნელისთვის კარები მიეხუროს. არის ისეთი დღეც, როცა კნეინა თითონ ნატრობს, რომ მთხოვნელი კარზე მიადგეს. მაგალითად, როცა სტუმრები ჰყავს. მაშინ მსახური გოგო ვალდებულია შევიდეს ქალბატონთან და სტუმართან მოსაუბრეს მიმართოს: „კნეინა ბატონო, მოწყალებას თხოულობენ“ ო.

ბაბო იმ წუთშივე ამოიღებს ყუთიდან და გაისვრის გოგოსკენ ვეცხლის ფულს.

ასეთ უხვობაში მას პირადი მდგომარეობაც ხელს უწყობს. სოფელ თავადისეულში ხუთასი ქცევა მიწა აქვს, საუცხოვო ვენახებით და ხილით გაშენებული, ყავს ორმოცამდე თავდაუხსნელი გლეხი და მრავალ პირუტყვთა ჯოგები.

მისი სოფელი სამოთხესა გავს შვენიერებით და, თუ ბაბო უმეტეს ნაწილათ ქალაქში ცხოვრობს, ამის მიზეზი მისი ერთად ერთი ვაჟი გახლავთ.

II.

სერიოჟამ დ-დის გაჭირვებით მიახწია გიმნაზიის მერვე კლასამდი და წრეულს უნდა დაამთავროს იგი კიდევ ორი-სამი თვე და ყოველივე უსიამოვნებაა ბოლო მოეღება. სერიოჟა

ერთხელ და უკანასკნელათ გათავისუფლდება თავის მომა-
ბეზრებელ საგნებისგან. გათავისუფლდება და თვალის წინ
გადაეშლება საოცნებო მომავალი. სამხედრო სასწავლებელი,
რუსეთის სატახტო ქალაქში ცხოვრება და, ბოლოს, აფიცი-
რობა. მეცნიერებით თავს არ იტკენ და არც მაღალი იდე-
ებით გატაცებაა აქ საჭირო. მხოლოდ უნდა გიყვარდეს და
გრძნობდე იმ პოეტურ ფუქსავატობას, რომელიც იხატება
სამხედრო პირთა ცხოვრებაში. სერიოჟა ბუნებას სწორედ ამ
ცხოვრებისთვის გაუჩენია. მას ლამაზი, ვიჟკაცური სახე აქვს,
ლონიერი და მოხთენილი სხეული. სამი წლის გულ-
მოდგინე გიმნასტიკაში ვარჯიშობით მან მკერდი და კისერი
ისე გაიმაგრა, რომ მოჭიდავე ფალავანს არაფრით არ ჩამო-
უვარდება.

გიმნაზიაში სწავლა სერიოჟას როდი ეპიტნავებოდა.
მაგრამ რა უნდა ექნა. დედა მისი, კნეინა ბაბო, ვინ იცის,
რას არ პირდებოდა მას, ოღონდ კი დაეთავებინა საშუალო
სასწავლებელი. სერიოჟას სწავლის უნარი სრულიად არ გა-
აჩნდა. ხანდისხან, როცა დედის თხოვნა-მუდარით ის გაკვე-
თილებს მოუჯდებოდა, საბრალო მდგომარეობაში იყო: თავ-
ბრუ ეხვეოდა და სული ეხუთებოდა, როგორც პაპანაქება
სიცხეში ოთახში გამომწყვდეულ ტუსაღს. არც დიდხანს
ჯდომა შეეძლო ერთ ადგილზე. ნახევარ საათის შემდეგ გულ
მოსული თავადი მიაკეცდა წიგნებს, დაიხურავდა ქუდს და
სადმე გაისეირნებდა. „რა მისი ბრალია, ნიჭი არა აქვს და
ძალას ხომ ვერ დაატანსო“, ამბობდა გულნატკენი ბაბო.

კნეინა მიხვდა საქმე რაშიც მდგომარეობდა. შეატყო,
რომ მისი „ამომავალი მზე“ თავისთავათ ვერაფერ ნაყოფს
გამოიტანდა და, ამის გამო, თითონ ჩაერია ამ საქმეში.

„ხერხი სჯობია ლონესო“ — გადაწყვიტა ბაბომ და გა-
ეცნო რამდენიმე მასწავლებელს. (გიმნაზიის დირეკტორს
და ინსპექტორს ის უკვე იცნობდა),

ბაბომ კარგად იცოდა, რომ მასწავლებლებთან მისვლა

და თხოვნა არ შეშვენოდა მის გვარიშვილობას, მაგრამ მეტი გზა არ დარჩენოდა.

რას არ ჩაგადენინებს შვილის უზომო სიყვარული!

ერთ შვენიერ დღეს თორმეტის ნახევარზე კნეინა გიმნაზიას ესტუმრა.

როცა სამასწავლებლო ოთახის კარები გაიღო და ძვირფასს მოსასხამში გამოხვეული ბაბო დაინახეს, იქ მყოფმა მასწავლებლებმა პატივისცემის გამომხატველი სახე ჰიიღეს. ილარიონ ვასილიევიჩი, გიმნაზიის დირექტორი, თავაზიანათ ფეხზე წამოდგა და შესაფერი სალამი მიუძღვნა, თვისი რბილი საკარძელი მისთავაზა, თითონ-კი სელის სკამზე დაჯდა. იქ სხვა მშობლებიც იყვენ ფეხზე მდგომნი და პასუხის მომლოდინენი, მაგრამ იმათ ამდენ ყურათღებას ვინ მიაქცევდა.

ბაბომ ისე შვენივრად მოაწყო თვისი საქმე, როგორც თითონ არ მოელოდა. გაიცნო, თითქმის, ყველა მასწავლებლები და მათთან საუბარში დაუფარავათ გამოიხატა მისი მოსიყვარულე, ნაზი გრძნობა. აქა იქ, სადაც საჭირო იყო, ეშხსაც ხმარობდა ხოლმე, მაგრამ ზომიერათ. ყველაზე უფრო ყურადღებით ექცეოდა კნეინა რუსულის მასწავლებელს. (სერიოჟას ამ საგანში ძლიერ უჭირდა).

—

რუსული ენის მასწავლებელი, ტროფიმ ზახარიჩი, მოხუცებული კაცი იყო. ამ ადამიანის შესახებ მოწაფეებში გავრცელებული იყო ჭორი. ამბობდენ — ტროფიმ ზახარიჩს ქრთამი უყვარს, ლოთია და საჩუქრებიც ბევრი მიუდის ჩუმად ოჯახშიო. ეს ხმები კნეინასაც ჰქონდა გაგონილი. არ სჯეროდა, მაგრამ სასურველი კი იყო, რომ მართალი ყოფილიყო. იმ დღეს მისდა სასიხარულოდ სრულიად დარწმუნდა მასწავლებლის ქრთამისადმი მიდრეკილებაში. როცა გაკვეთილების დასადგომათ ზარი დარეკეს და მასწავლებლები გაეშურენ თავიანთ ადგილებისკენ, კნეინამ გაიხმო ტროფიმ ზახარიჩი და ასე შესჩივლა: „ჩემისთანა უბედური ქალი არ

გენახოთ პატივცემულო, ტროფიმ ზახარიჩ! ჩემი სერიოჟას საქმე ცუდათ მიდის და რა ვქნა, მირჩიეთ, თუ ღმერთი გწამთ!“

მასწავლებელმა გულზე ხელი დაიდვა და ღიმილით უპასუხა: „რამ შეგაწუხათ ასე, კნეინა, ჩვენ, რაც შეგვიძლია, ვეცდებით ჩვენის მხრით თუ თქვენც დაგვეხმარებით“.

— არ დაიჯერებთ, ძვირფასო ადამიანო, როგორა ცდილობს ჩემი ვაჟი: სულ წიგნებს დასჩიჩინებს, მაგრამ რა ჰქნას, რომ ნიჭი არა აქვს“. ტროფიმ ზახარიჩმა რამდენჯერმე ძალით ჩაახველა და ჩუმათ იყო.

— მიშველეთ როგორმე, ხვეწნის კილოთი განმარტა კნეინამ, მიაქციეთ მაგ ბავშვს ყურაოღება; თქვენ თუ მოისურვებთ ყველაფერი იქნება, მომეხმარეთ როგორმე და არც მე დაგრჩებით ურიგოთ“.

ტროფიმ ზახარიჩმა პატიოსანიკაცის გამომეტყველება მიიღო.

— რამდენი ფული გამსვლია რეპეტიტორებში, მაგრამ არაფერი გამოსულა“.

— რე-პე-ტი-ტორები!.. ჩაიხითხითა ტროფიმ ზახარიჩმა. ტყვილი ხარჯი მოგსვლიათ. დარწმუნებული ვარ ვერაფერს შემატებდენ თქვენს ვაჟს“.

— აგრე თქვენმა სიცოცხლემ, შემატეს კი არა კიდეც შეაძულეს სწავლა თავიანთი უვიცობით და ცუდი გადაცემით“.

— კმარა, კნეინა, თქვენი შემწეობით მე, რაც შემიძლია, ვეცდები. დარწმუნებული ვარ ჩვენი ცდა უნაყოფოთ არ ჩაივლის“.

ბაბომ ორ აზროვნათ, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინა მასწავლებლისთვის, კიდევ გაიმეორა თვისი მოვალეობა და ტკბილათ გამოეთხოვა მას.

—

ამ ხელშეკრულობის შემდეგ განვლო ხუთმა წელმა. დღეს სერიოჟა მერვე კლასშია. ამ ხუთი წლის განმავლობაში,

ვინ იცის, თუ რამდენი ბოთლი შამპანიური, რამდენი ქალაქლის ფული მოუვიდა ჩუმათ ტროფიმ ზახარიჩს. ჩანდა, რომ ბაბო ქრთამს უგზავნიდა. მაგრამ ამ მოქმედებასაც თავისებური დარბაისლური სარჩული ედვა.

მაგალითად, როცა კნეინა ბ-ბო დაბეჭდილ ბოთლებში ღვინოს, ან შამპანიურს აახლებდა ბიჭის ხელით, წერილსაც მისწერდა:

— დიდათ პატივცემულო, ტრთფიმ ზახარიჩ! გაახლებ ჩვენებურ ღვინოს. იმედია არ დაგვძრახავთ. ქართულის ჩვეულებით ამას ძღვენს ვეძახით... შეიძლება უმნიშვნელო რამ იყოს, მაგრამ სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების.—

ასეთი ხარკი უნაყოფოთ არ იკარგებოდა. ტრ. ზახარიჩი დიდის ყურათღებით ეპყრობოდა სერიოჟას. მასწავლებელი, როგორღაც, ცელარ ამჩნევდა მას, როცა თხზულების წერის დროს, სხვის რვეულში იცქირებოდა. სერიოჟასაც უკვირდა, როცა ცუდათ დაწერილ თხზულებაში ნიშანი არ ექნებოდა დასმული. შორს მჭვრეტი თავადის შვილი ყველა ამ მოვლინებას მასწავლებლის გულკეთილობით ხსნიდა. ბაბოს იმედი მიეცა. სერიოჟა კი სრულიათ არაფერზე ნაღვლობდა, რადგან სიმწიფის მოწმობა უზრუნველყოფილი იყო.

III.

შუა ივანობის თვე დამდკარი იყო. ქალაქში საშინელი სიცხეები იდგა. მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი თავს ახწევდა იქაურობას და მიეშურებოდა აგარაკებისკენ. რკინის გზის სადგური სავსე იყო მიმავალი ხალხით. ქალაქი შესამჩნევათ ცალიერდებოდა.

ერთს ასეთ სიცხიან დღეს, ნაშუადღევის ხუთ საათზე, ქალაქიდან უნდა გასულიყო მატარებელი. იმ დღეს ბაბოს ოთახებში დილიდან დაწყებული დიდ ფაცაფუცში იყვენ. სძრავდენ ადგილიდან ყოველიფერს, რაც კი წასაღები იყო: კედლიდან ჩამოხსნეს დიდრონი ნახატები, ნოხები, სარკეები

და სხვა ძვირფასი მოწყობილობანი. დაფელილ კარებიდან ექვსმა რაჭველმა მუშამ გაიტანა როიალი. დანარჩენებმა დატვირთეს დროგები და, მცირე დასვენების შემდეგ, დაიძრენ სადგურისკენ. სერიოჟა ამ დროს აივანზე იდგა ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი. ის მხიარულ გუნებაზე იყო: ხან ღიღინებდა, ხან სტვენდა, ხან რაღაცას ჩაუფიქრდებოდა და სიამოვნებით გააჟრჟოლებდა... თვალი მოკრა ქუჩაზე მიმავალ ქალიშვილს და ჩაახველა. ნაცნობი მოსწავლე ქალის ლამაზი სახე მისკენ მიბრუნდა:

— Ахъ здравствуйте, Сережа! выдержали экзамен? —

— Конечно! — ისეთის ამაყური კილოთი უპასუხა სერიოჟამ, თითქოს ეს თავისთავათ ასე უნდა მომხთარიყო.

Поздравляю съ успѣхомъ! —

სერიოჟამ მადლობა გადაუხადამას და, როცა ქალი და შორდა, სახლში შევიდა. დაიწყო ცალიერი ოთახების თვალიერება. გაიარა ერთი ოთახი, მეორე, მესამე... ერთმა პატარა ოთახმა მაინც დიდხანს მიიპყრო მისი ყურათღება ეგზამენების დროს თითქმის მთელი თვენაევარი სერიოჟა იძულებულიყო ამ ოთახში მჯდარიყო და, ნებით თუ უნებლიეთ, წიგნი ეკითხა. ყმაწვილმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ამ პატარა ოთახის კედლებს, ჭერს, იატაკს და წარმოუდგა, თითქო მთელი მისი სიყმაწვილე აქ, ამ ოთახში წვალებით გაატარა. ყოველი წერტილი, ყოველი ხაზი ნაცნობი იყო ამ კედლებზე და ეგ ნაცნობობა რაღაც უსიამოვნოსა და სულის მომაბეზრებელ ფიქრებს აწვევდა მისს გონებაში.

სერიოჟას გაახსენდა, თუ რამდენი გაჭივრების ოფლი დაუქცევია ამ ოთახში, გაახსენდა მზიანი მაისის დღეები, როცა ის მაგიდასთან უნებლიეთ მიბმული ამაოთ ოცნებობდა ბალებში სეირნობას და ნავარდობას.

ერთ წუთს მას გრძნობა მოეწამლა ამ მოგონებით. მაგ-

რამ გამხნევებული იმითი, რომ ყველა ეს უბედურება სიზმარივით გაჰქრა, მხიარულათ და ამაყათ გამობრუნდა იქედან. ამ დროს მას სადილათ დაუძახეს.

სწორეთ ხუთის ნახევარზე ბაბომ და მისმა ვაჟმა სადილი გაათავეს. ამ დროს ქუჩაზე მათ ეტლი უცდიდა. ბაბომ სწრაფათ მოახდინა საჭირო განკარგულება, ჩაიცვა სამგზავრო ტანსაცმელი და სერიოჟას დახმარებით ეტლში ჩაჯდა. ხუთს წუთში ისინი სადგურზე იყვენ. ნახევარი საათის შემდეგ-კი სწრაფი მატარებელი მიაქროლებდა მათ სოფლისკენ.

შუა ღამეს არაფერი უკლდა, როცა ჩვენი მგზავრები მიუახლოვდენ თავიანთ სოფელს. მატარებელი, თითქო ძალზე დაღლილი, ქშენით მიუახლოვდა პატარა სადგურს და გაჩერდა. სადგურის წინ, ბაქანზე, სხვათა შორის, კნეინას მოურავიც იყო. შუა ტანის, სქელ-სქელი, ჟინჟღილივით წითელი მოურავი კოწია თავქუდმოხდილი მივარდა ქალბატონთან. ჯერ, როგორც წესი მოითხოვდა, მძიმეთ თავი დახარა მათ წინაშე, ღმერთს მადლობა შესწირა მათი ბედნიერი მგზავრობისთვის და შემდეგ მოწიწებით ჩამოართვა მცირე ტვირთი.

— რა ამბავია კოწია ჩვენსას? ტკბილათ დაეკითხა კნეინა მოურავს.

— კარგი ამბავი, ქალბატონო, მშვიდობაა... ხაბაზმა ივანემ ცოტა ხელები დაიწვა გუშინ თონეზე და სახლში გავისტუმრეთ. —

— საწყალობელი!! სხვაფერ ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობა გახლავთ.

იმათ ამოუარეს სადგურს და იქვე მდგომ საშინაო ეტლს მიუახლოვდენ.

— ბიჭო, რაჟდენ! დაძინებია ამ ოჯახ ქორს? მოართვი ბატონებს ფაიტონი! — გასძახა მოურავმა ძილმლვიძრათ მყოფ შეეტლეს.

— გამარჯობა შენი, რაჟდენ! — ტკბილის სალამით გაბედნიერა კნეინამ თვისი მეეტლე.

— ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს, ქალბატონო! — მძიმე თავის დაკვრით უპასუხა მეეტლემ.

სერიოჟას გულის მოსაგებათ კოწია მოურავმა რამდენიმე კომპლიმენტიც დახარჯა,

— კნიაზ, რამ გაგასუქათ ასე? ამ ფაიტონმა თუ შიგიყვანათ სახლში, დიდი ღვთის წყალობა იქნება, ღმერთმანი!

ამ სასიამოვნო შენიშვნაზე სერიოჟამ ერთი გადიხარხარა, დედას გვერდში ამოუჯდა და ეტლის კოფოზე გაყუჩებულ კოწიას ალერსის ნიშნათ ბეჭებში ჩააყოლა.

ზაფხულის გრილი და მოწმენდილი ღამე იყო. მთვარე მედიდურათ მისცურავდა უთვალავ ვარსკვლავებით გასხივებულ ცაზე. ნელი სიო საამურათ აშრიალებდა გზის ნაპირებზე მდგომ ხეების ფოთლებს. ჰაერში ბალახ-ყვავილების დამათრობელი სურნელება იდგა. ჩქარის, უხმო სვლით, მისრიალებდა კნეინას ეტლი სოფლის განიერ შარა გზაზე, რომლის ნაპირზე იშლებოდენ ზოგან სიმიდ-პურით დაფენილი მიწები, ზოგან საბალახოთ გაშვებული ტრიალი მიდვრები და ადგილ-კლდიდან მოჩუხჩუხე ნაკადულები. მგზავრები გაუსწორდენ ერთს საკმაოთ განიერ ტბას, რომლის გარშემო ამართული ნაძვები დალვრემილათ გაიცქირებოდენ ცის სივრცეში. იქ, იმ ტბიდან, გაისმოდა ბაყაყთა ერთიანი ყიყინი და მათ სიმღერას იძულებულ ბანს აძლევდა მიძინებული ხეობა. გვიან იყო, მაგრამ სერიოჟას ძილი მაინც არ ეკარებოდა. სოფლის ბუნების სინაზემ, ამ მთვარიანმა ღამემ, ნელ სიოზე მოშიბინე სიმიდებმა და მდინარეთა ჩხრიალმა სერიოჟას ტლანქ გრძნობაზეც იქონიეს გავლენა.

სერიოჟა გახალისდა, აფრთოვანდა და მთელი გზა ამ საუცხოვო სანახაობით იყო გამსჭვალული. კნეინა ბაბო კი, ამ დროს, — მოურავთან ლაპარაკში იყო გართული. ეკითხე-

განთიადი.

ბოდა სიმიდის, პურის და ღვინის მო
არავინ აგვიჩეხაო, ან ბიჭები ხომ არ
მალე მათი სასახლეც გამოჩდ
რიდან ეტლი ეზოში შევიდა,
უშველებელი თათრული ქ
ემართა. ამ ძალლების შ
მაგრამ საოგებლობაც
არა, კნეინას არათ
ბნელ ღამეს, რ
ვებულის მეტ
იპარა ერ
და, მის
მის
ჩ

ფირუზი ცა ყოველ დილით
გულ-მკერდს გიბნევს ოქროს ღილით;
ედონი ზევსურს გიმღერს, სურნელებას გიკმევს ვარდი,
თქო სურდეთ — გაგიქარვონ სულის მღრნელი ბოლმა დარდი!..
მეც თაყვანს გცემ, თაყვანს გულით,
მოგეხვევი სიყვარულით
შენს სურათს, ხელით უქმნელს, ჩავიმარხავ გულში ღრმათა,
სიზმრებლამდი თან ვატარებ... და წავიღებ შემდეგ ცათა,
მაგრამ, ტურფავ, ამ ჩემს ტრფობას
თან სდევს ზიზღიც: გითვლი გმობას!
— მიტომ: შავ ღრუბელს ქვეშ საცოდავათ რომ გართხ-
მულხარ
ბოლ ... ს მეხია გატეხს, შენ-კი სდუმხარ, მხოლოდ
სდუმხარ!...

ჩახრუხაძე.

იაკულეგითი განმარტება*).

დღეებში გამოვიდა ბ-ნი პ. გელეიშვილის წიგნაკი: „ვლია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი“. ეს წიგნაკი, თურმე, ის ლექცია არის, რომლის წაკითხვა ბ-მა პ. გელეიშვილმა ვერ მოახერხა. ამ გარემოებამ წამახალისა და ეს წიგნაკი გამოსვლისთანავე პირწმინდათ თავიდან ბოლოამდი წავიკითხე. როდი შევეხები ამ წიგნაკში გატარებულ ... ...

ჟურნალ-გაზეთობა ამ უხეშ აზრებს შესაფერ ფასს დასდებს. აღვნიშნავ მხოლოთ ამ წიგნაკის იმ ადგილს, რომელიც პირდაპირ მე შემეხება, თუმცა ბ. პ. გელეიშვილს როდი უნებებია, ან ჩემი სახელი და გვარი დაესახელებიოს, ან ის ჩემი წერილი მოეხსენებიოს, რომელშიც ილ. ჭავჭავაძე დავახასიათე ისეთ პოეტათ, რომელმაც ჩვენს ლიტერატურაში პირველმა იქადაგა სოციალისტური აზრი. უეჭველია, ეს ბ. პ. გელეიშვილს შემოხვევით, ან უცაბედათ როდი მოუვიდოდა: იგი განგებ უმალავს მკითხველს ჩემ წერილს, რომ მკითხველმა იმ ჩემ წერილს ვერ მიაგნოს და ჯაჭვის რგოლებივით გადაბმული მთელი ჩემი არგუმენტაცია ვერ გაითვალისწინოს.

ეს კი ბ. პ. გელეიშვილისთვის ორგზით არის სასარგებლო: ერთი ის, რომ მკითხველს არ ეცოდინება, თუ რა ვთქვი მე. ამიტომ მას არც შეეძლება ჩემი აზრის მიღება; მეორეც ისა, რომ ბ. პ. გელეიშვილს ასეთ პირობაში ძალიან უადვილდება დამწამოს ის, რაც არც მითქვამს, არც ფიქრათ გამივლია, გადაამახინჯოს ჩემი აზრი და, ამნაირათ, მკითხველს თვისი აზრი მართალ აზრათ მოაჩვენოს, მე-კი რაღაც თვალთმაქც ჯამბაზათ დამსახოს. ეს ორივეგვარი ხერხი დამახასიათებელია თვით ბ. პ. გელეიშვილის. მაგრამ ასეთი მისი და მისებრი მწერლების ოინი მე კალამს ვერ ამაღებიებდა.

ამ იძულებითი განმარტების დაწერა მაიძულა იმ გარემოებამ, რომ ბ-ნი პ. გელეიშვილი წარბის შეუხრელათ მწამებს, ვითომც **პოეტის მკვლელობაზე უმეტესი ბოროტება ჩამედინოს...** ეს კი, დამეთანხმებით, დიდი და ძნელი ბრალდებაა. ამიტომ მეც, რა ჯანი მაქვს, შესაფერი განმარტება უნდა მივცე მკითხველ საზოგადოებას, და არა ბ. პ. გელეიშვილს.

ჯერ, ნება მიბოძეთ, თვით ბ. პ. გელეიშვილის პირით და ენით გამოვთქვა ეს დიდი ბრალდება. ბ-ნი პ. გელეიშვილი წერს:

მაგრამ არა გვგონია, რომ ისტორიამ აპატიოს ბრძოლის ველიდან

ულ ილიას მოწაფეებს ის, რომ მათ თვით ილიას ცხედარს გაუბე-
სოციალიზმის წითელი დროშის გადაფარება... ჩვენ მოგახსენებთ იმაზე,
ამ ილია მისი სიკვდილის დღეებშივე მისმა ვითომდა მოწაფეებმა
ოციალისტათ გამოაცხადეს. მათ დაუწყეს ილიას კუბოსთან თავმოყრილ
ხალხს მტკიცება:—ილიამ ჩვენში პირველმა იქადაგა „შრომის სუფევა“,
ის სოციალისტი იყოვო.

მაშ ვის დაჭირდა ეს ილიას დამამცირებელი მასკარადი?

ეტყობა, ეს საჭირო ყოფილა თვითონ ილიას მოწაფეთათვის, რო-
მელთაც იმ გამოცვლილ დროში ეშინოდათ—ილიაზე ტირილი ახალ მო-
ძრაობის ღალატათ არავინ ჩამოგვართვასო და თვითონ ილია მოერთეს
ოციალისტის სამოსელში.

სწორეთ ეს იყო მიზეზი რომ ტრაღიკულათ დაღუპულ ილიას
დროშა-ალამი სადღაც მიმალეს და მისი ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამს
წითელი დროშა გადააფარეს.
ჩვენის გულითადის რწმენით ეს ისეთივე ბოროტება აყო, როგორც პო-
ეტის მკვლელობა.

არა, ეს კიდევ მეტიც იყო... გამხეცებულმა ადამიანმა მოკლა პო-
ეტი; მაგრამ ილიას სახელს ამით არაფერი (არ) დაკლებია. სრულიათ
პირიქით. ილია უფრო გადიდა ამ ტრაღიკულმა სიკვდილმა, უფრო
გააღრმავა იგი ჩამომავლობის ხსოვნისაში..
შვილებმა კი დაამდაბლეს და დაამცირეს დიდებული მამა, მათ თითქოს
იუკადრისეს ილიას ძაღლებური ქართული ქულაჯა, სოციალიზმის სასიძო
სამოსელით მოერთეს იგი და მით ისტორიის წინაშე მიუტევებელი ცო-
დვა ჩაიდინეს“**...

მე განგებ ამოვწერე ასე ვრცლათ ბ-ნი პ. გელეიშვილის ჩემზე გამოლაშქრება, რომ მკითხველმა თავიდან გაითვალისწინოს, თუ რა ბოროტი ბრალდებაა ეს ბრალდება, პ. გელეიშვილის მიერ ჩემდამი წამოყენებული. გარდა ამისა, თვით პ. გელეიშვილი და მისიანები ველარ გაბედვენ თქვან, რომ მე, ან რამე დამეფაროს, დამემალოს, ან გადამესხვაფერებიოს პ. გელეიშვილის აზრებსა და სიტყვებში. ახლა კი მკითხველს ვთხოვ, ყურათლებით მომისმინოს, რადგან, დამეთანხმებით, ბ-ნი პ. გელეიშვილი დიდ დანაშაულობასა მწამებს და დიდათ

**) იხ. გვ. 93, 94. 95.

ბოროტ ადამიანათ მსახავს. ამასთანავე ვთხოვ მკითხველს, კვლავ განსაკუთრებული ყურათღება მიაქციოს ჩემ მიერ ხაზ-გასმულ გელეიშვილის ფრაზებს და სიტყვებს.

ბ-ნ ბ. გელეიშვილს ბრაზი მოდის და ვერ გაუგია, როგორ გაბედეს ილიას ცხედარს „ვითომდა მოწაფეებმა" სოციალიზმის წითელი დროშის გადაფარებაო. ამის პირველი ჩემი გადაჭრილი პასუხი ის არის, რომ მტკიცეთ აღვიარებ, არას დროს ილია ჭავჭავაძის მოწაფეთ არ ვყოფილვარ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, მეთაკილებოდეს, ან მცხვენოდეს ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა. სრულიათაც არა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს უტყუარი ფაკტია და, ჩემდა სამწუხაროთ, ჩემ სოფლმხედველობასა და აზროვნებაში სრულებით, არავითარი სხივფინარე აზრი, მოსაზრება და არგუმენტი არ შეუტანია არც ერთს ქართველ მწერალს. ეს სამწუხარო იმიტომ უფრო არის რომ, დარწმუნებული ვარ, სხვებსაც ასე ემართებათ. სწორეთ ეს იმ გარემოების უტყუარი აღმნიშვნელია, რომ ჩვენი მწერლობა ძალიან სუსტი იყო და არის, რომ ადამიანს, ფიქრისა და აზროვნების მიმდევარს, ეს წყურვილი ცოდნისა, ეს მხურვალე სურვილი მთელი სოფლმხედველობის შეძენისა დაუკმაყოფილოს. ამიტომ ქართველი ახალგაზდა იძულებულია, აღეძვრება მას სურვილი ცოდნისა და აზროვნებისა თუ არა, ღრმათ დაეწაფოს რუსულსა და უცხოურ მწერლობას და მხოლოთ იქ პოვოს თვისი გონებისა და ნიჭის შესაფერი საზრდო. აი, ამ მიზეზისა გამო, მეც ასე მოვიქეცი და, როცა წადილი და წყურვილი დამებადა, გამეგო დიადი ბუნების საიდუმლოებანი, გამერკვია ადამიანის ყოფა-ვითარება და გამეთვალისწინებია საზოგადოებათა რთული დამოკიდებულება და ისტორიის ცვალებადი მსვლელობა, — მეც ქართულ მწერლობაში ვერაფერი ვიპოვე და რუსულ მწერლობას და უცხოელ მწერლებს მივმართე, მათ დავეწაფე. მხოლოთ ამის შემდეგ დავუბრუნდი ქართულ მწერლობას და მას აქით ეს მწერლობა ჩემთვის მასალას წარმოად-

გენს, რომელსაც ჩემი შეხედულებისა და ნიჭის მიხედვით ამათუ იმ ადგილს მივაკუთნებ ხოლმე. აქ, მაშასადამე, მოწაფეობაზე ის დაიწყებს ლაპარაკს, ვინც არც კი იცის, თუ რა არის მოწაფეობა, ვინც არც იძიებს, ვინა ხარ შენ, რა აზრისა და შეხედულებისა ხარ, არამედ ზერელე მაცქერალივით, ვით ეს შეფერის ზანტი გონებისა და ჩლუნგი აზროვნების პირს, ერთ ტომარში უკრავს ხოლმე თავს ყველას, ბრალიანსა და უბრალოს,

გარდა ამისა, რათ დასჭირდა ბ. პ. გელეიშვილს, რომ ჩემი აზრი ილ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის შესახებ ასე გაეფართოვა, ასე გაასაზოგადოვა? ილიაზე ჩემი აზრი მხოლოთ ჩემი საკუთარი აზრია, და არც არავინ ჯერ-ჯეროობით იზიარებს ამ ჩემ აზრს, რამდენათაც ეს ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიდან ჩანს. არც ერთი მიმართულების ჩვენი გაზეთი ამ ჩემ აზრს ხმარს არ უჭერს. გაზ. „ჩვენმა ერმა“ ამ წლის მაისის ნუმრებში რამდენჯერმე საქვეყნოთ აღიარა, რომ ეს ჩემი აზრი სიმართლეს არ შეეფერებაო. გაზ. „იმერეთმა“ ბ. ამირაჯიბის პირით ხომ აბსურდათ გამოაცხადა ეს ჩემი აზრი. დასელების გაზეთებზე ხომ მეტია ლაპარაკი. ამას თვით პ. გელეიშვილის ზემო აღნიშნული სიტყვებიც ადასტურებს. მაშ რომელმა ღა მოწაფეებმა ჩაიდინეს ეს დიდი დანაშაული, პოეტის მკვლელობაზე უაღრესი?. ასეთი მოწაფენი არც ყოფილან, არც არსად არიან. ეს მხოლოთ პ. გელეიშვილის მოსაზრების გამონაკვეთი საპნის ბუშტებია. ეს აზრი ილიაზე მხოლოთ ჩემი საკუთარი აზრია, ამიტომ მე ვარ სრული პასუხის მგებელიც. არც მეტი, არც ნაკლები. მაშასადამე, ფაკტიურათ დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს, რომ პ. გელეიშვილის დებულება — ილიას გაუბედეს მისმა ყოფილმა მოწაფეებმა სოციალიზმის წითელი დროშის გადაფარება — თალლითი აზრია. არავის ჩემს მეტს ილიასთვის ეს არ გაუბედნია. ჩემი აზრის განსაზოგადოება კი პ. გელეიშვილს არ

შეეძლო და მას ამის უფლებას ჩვენი მწერლობა არ აძლევდა. მაშასადამე, აქ პ. გელეიშვილი დიდ უკულტურობასა და თაღლითობას ჩადის.

მვითხველმა, უეჭველია, უჩემოთაც ყურათღება მიაქცია პ. გელეიშვილის შემდეგ ამაშფოთებელ სიტყვებს, ვითომც ვისმესთვის საჭირო იყო ილიას სოციალიზმის საბოსელში გამოხვევა იმიტომ, რომ „იმ გამოცვლილ დროში **ეშინოდათ** - ილიაზე ტირილი ახალი მოძრაობის ღალატათ არავინ ჩაგვითვალოსო''. ამის არა თუ საქვეყნოთ გამოთქმა, გულში გატარებაც კი სასირცხო უნდა იყოს ყოველი პატიოსანი და გულწრფელი ადამიანისთვის. მართლაც. თაღლითი სულის პატრონის მეტს სხვას ვისმე განა შეუძლია ესა თქვას? არა თუ ილიასთანა ადამიანის, არამედ ბევრის, ათას საფეხურათ იმაზე ქვევით მდგარის ადამიანის დატირება განა არ შეიძლება სრულიათ გულწრფელათ და გულ-ახდილათ? აქ რა საჭირო იყო რაიმე სხვა გარეშე გარემოების მომიზეზება?!

ილია, თვისი ნიჭისა და შეხედულების მიხედვით, **სრულებით** გულწრფელათ და ალალ-მართლათ ემსახურა ორ მოცდა ათი წელიწადი თვის საზოგადოებასა და მთელ ქართველობასაც. ესევე ილია ტრაღიკულათ იქნა მოკლული. განა ეს ორი გარემოება საკმარისი არ იყო, რომ მთელ ქართველ საზოგადოებას სრულებით გულწრფელათ დაეტირებია ეს დიდი ადამიანი? ქართველობა მართლაც ასე მოიქცა. არც შეეძლო სხვაგვარათ მოქცეულიყო იგი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველობა ქვეყანაზე აღარ იქნებოდა, რასაც ასე დაჟინებით გაიძახის ეს ამდენი ხანია, პ. გელეიშვილი. მაგრამ სწორეთ ილიას ამ ვულწრფელი დატირებით ქართველობამ აშკარათ ღადადჰყო, რომ დღემდე იგი, ქართველობა, **არ მომკვდარა**. სწორეთ ეს გარემოებაა თავი მიზეზი, რომელიც ბრაზსა გვრის პ. გელეიშვილს. სწორეთ ამიტომაც ეს მწერალი აშფოთებას გამოთქვამს

იმაზე. ვინც კი ილია მართლა გულწრფელათ დაიტირა... ამიტომ მეც სრულებით გულწრფელათვე შემეძლო ცრემლი დამეღვარა დიადი ადამიანის საფლავზე და არც მჭირდებოდა სხვა რაიმე, ჩემთვისა და სხვისთვის მოსატყუებელი მიზეზი გამომეგონებია, სიცრუე და სიყალბე ჩამედინა. არც შეეხამება, არც შეეფერება ასეთი სიყალბე და სიცრუე ჩემ ხასიათს, ჩემ ბუნებას. ასეთი სიყალბის, ასეთი სიცრუის ჩადენას სხვას ის დასწამებს, ვისი გული და სული მხოლოთ თვალთმაქცობასა და თაღლითობაში არის გავარჯიშებული. ზემომოყვანილ სიტყვებით პ. გელეიშვილი აშკარათ ამბობს, მაგრამ თვისი შეუგნებლობისა გამო —ამას ვერ ამჩნევს,—რომ ილიას დატირება ახალი მოძრაობის ღალატათ ყოფილა მიჩნეული **ვილაცის მიერ**... ამას ახლა განმარტება როდი უნდა. მაგრამ აქ უნებლიეთ ქართული ანდაზა მაგონდება: ჩემმა ენამ ტიკტიკამო, ყბაში ძლიერ მიტიკაო. და აქ პ. გელეიშვილმა არა თუ თვის თავს ძალიან-ძალიანი სტიკა, არამედ ამავე დროს მან თვისიანებს გვარიანი მათრახი გააწნა...

იაკ. ფანცხავა.

(დასასრული იქნება).

ქართული გიმნაზიის გადაკეთების შესახებ.

ქართული გიმნაზიის გადაკეთება, რეფორმა, რომ აუცილებელი და იმავე დროს შესაძლებელიც არის, —უეჭველია.

ახალი კანონის ძალით, როგორც კერძო პირსა

ან საზოგადოებას, აგრეთვე რომელსამე წოდებას ნება აქვს დაარსონ ისეთი კერძო სასწავლებლები, რომლებშიაც რუსულ ენასა და ლიტერატურას და რუსულ ისტორიასა და გეოგრაფიას გარდა, ყველა საგნის სწავლება დედა ენაზე იქნება.

მაგრამ, თუ კი გამოიცვლება სწავლის მეთოდი, სჯობს, ძირიან-ფესვიანათ გამოიცვალოს.

დედაენაზე სწავლებას რომ ერთობ დიდი მნიშვნელობა ექნება, ცხადია. მაგრამ არც სხვა მხარეები უნდა დავტოვოთ ხელშეუხებლათ და ყურათუღებლად. განა რუსეთში კლასიკურ გიმნაზიაში რუსულათ არ ასწავლიან?! მაგრ-ამ, ვგონებ, თითქმის აღარავინ არის იქ ისეთი, ამგვარი სასწავლებლის ტიპი რომ მოსწონდეს.

ამიტომ, ვფიქრობ, აუცილებელია, ძველი სასწავლო მეთოდის ძირიან-ფესვიანათ ამოვარდნა, თუ გვსურს, ახალმა სასწავლებელმა შესაფერი ნაყოფი მოიტანოს.

თანამედროვე გიმნაზიას საფუძვლათ დ. ტოლსტოის მიერ შემოღებული სქოლასტიკა უდევს. უძველესი დროიდან დღემდის მოატანა ამ დახავსებულმა სისტემამ, რომელიც სწამლავს ახალთაობის სულსა და ხორცს. ასეთია ტრადიციის ძალა!

ძველ რომში ასტრონომიასა და მეურნობაზე ლექსებით წერდენ. გარეგან ფორმას სხვერპლათ ეწირებოდა შინაარსი. ბიზანტიაში ხომ სქოლასტიკამ შკოლიდან თითქმის სრულიათ განდევნა მეცნიე-

რება, რომლის ადგილი გრამატიკამა და სოფისტიკამ დაიჭირა.

განა თანამედროვე გიმნაზიიდანაც თითქმის სრულიათ განდევნილი არ არის მეცნიერება?!

და განა თანამედროვე კლასიკური აღზდაც არ უარყოფს ყველაფერს, რაც ახალისებს და აქეზებს ცნობისმოყვარეობასა და წვრთნის შრომის უნარს!?

ამიტომ, ჩემი ფიქრით, ან სრული უნდა იყოს რეფორმა, ან სულაც არ უნდა იყოს, რადგან ახალი სასწავლებელი, რომელშიაც დედაენას გარდა არა იქნება-რა ახალი, უეჭველია, სახელს გაუტეხს თვით დედა ენასაც.

მაშასადამე, სწავლის სისტემა ძირიანათ უნდა შეიცვალოს და ისეთ საფუძველს უნდა დაეფუძნოს, რომელიც საღს პედაგოგიურ მოთხოვნილებას შეეფერება.

აღვნიშნავ სასურველი რეფორმის ძირითად პრინციპებს.

ქართული საშუალო სასწავლებელი უნდა შედგებოდეს ცხრა ქართულისა და ორი დამატებითი კლასისგან.

პირველს ცხრა კლასში სწავლა—რუსულ ლიტერატურასა, ისტორიასა და გეოგრაფიას გარდა—იქნება დედა ენაზე, ორს დამატებით კლასში-კი რუსულ ენაზე.

მოსამზადებელი განყოფილება იქნება მხოლოდ ორი. შემდეგ შვიდი წლის განმავლობაში მოსწავლე-

ები დაასრულებენ საშუალო სასწავლებლის მთელ კურსსა ქართულ ენაზე. ორი დამატებითი კლასის დანიშნულება კი იქნება—მომზადება სიმწიფის მოწმობისთვის, რომელიც საჭიროა რუსეთის უნივერსიტეტში შესასვლელათ. მაშასადამე, სახელმწიფო მოწმობის მიღებას დაჭირდება თერთმეტი წელიწადი, კერძო მოწმობისას კი—ცხრა წელიწადი.

სასწავლებელი უნდა იყოს ორ განყოფილებიანი: პროგრამა მეოთხე კლასამდი ერთი იქნება, შემდეგ, ე. ი., მეხუთე კლასიდან კი უნდა განიყოფებოდეს რეალურათ და კლასიკურათ.

კლასიკურ განყოფილებაში განაგრძობენ სწავლას ისეთი მოსწავლენი, რომელთაც აქვთ მიდრეკილება ენებისადმი. რეალურში-კი ისეთნი, რომელთაც საამისო ხალისი არ მოეპოებათ. ამიტომ, სწავლა აღარ იქნება ძალდატანებითი და მოსწავლენი ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. ამგვარი ბუნებრივი შერჩევა—აუცილებელია, თუ გვსურს, სწავლამ შესაფერი ნაყოფი მოიტანოს.

ვინც მხოლოთ სიმწიფის მოწმობისთვის სწავლობს და არა მიტომ, რომ სწავლა უყვარს, ცუდათ სწავლობს და, პირიქით, თუ ხსენებული შერჩევა მოხდება, მაშინ აღარ იქნებიან, ერთი მხრით, კარგი და, მეორე მხრით, ცუდი მოსწავლენი. და, დღეს რომ კარგი მოსწავლენიც ჩამორჩენილი არიან,—რადგან ცუდნი მათ წარმატებასაც აფერხებენ, ამ სამწუხარო მოვლენას ადგილი აღარ ექნებოდა მაშინ.

მოსწავლენი დედა ენაზე სწავლის მეოხებით სა-

შუალო სასწავლებლის კურს ადვილათ შეითვისებენ, და დამატებითი ორი კლასი სრულიათ საკმაო იქნება, რომ, რაც იციან, ქართულიდან რუსულათ გადათარგმონ და სახელმწიფო ეგზამენის დროს სავსებით დააკმაყოფილონ გამომცდელები.

მაგრამ ეს კიდევ ნახევარია ჩემი პროგრამისა. ალბდას მარტო თეორია კი არ უნდა ქონდეს დასახული მიზნათ, არამედ პრაკტიკაც, რადგან განყენებული, ხორცშეუსხმელი თეორია — სქოლასტიკაა. და თანამედროვე სასწავლებელთა უმთავრესი ნაკლიც სწორეთ ეს არის.

საცოდავ მოსწავლეებს უძრაობისგან კუნთები და ძარღვები მოდუნებული აქვთ და მუშაობის უნარი არ მოეპოებათ. ამგვარათ, თანამედროვე სასწავლებელს საფუძვლათ უდევს იმ დროის არისტოკრატიზმი, როდესაც გაბატონებულ კლასებს სამარცხვინოთ მიაჩდათ მიწის მუშაობა და ხელოსნობა.

შეიძლება, მაშინ ამგვარი განაწილება შრომისა საჭიროც იყო. მაგრამ დღეს, როდესაც თითოეული მოქალაქე ერთსა და იმავე დროს მუშაც არის, მოქალაქეც, ხსენებული სისტემა — ანაქრონიზმი ძალ ქართველებისთვის კი დამღუპველი გურებელია.

ჩვენი სასწავლებლების მოსწავლეთა ოთხ ხუთმეტი პროცენტი ღარიბთა შვილებია. და ვინც სწავლის კურსს ვერ დაასრულებს: კანცელარიის მწერლათ თუ გამოდგება, თვარა ალარც ერთს საქმეში გამოსადეგი არ არის, რადგან აოაფერი არა

იცის-რა და არა გაეგება-რა, არც ვაჭრობისა, არც ხელოსნობისა და არც მიწის მუშაობისა. სქოლასტიკური სისტემის ეს საცოდავი სხვერპლი სრულიათ მოუმზადებელია ცხოვრებისთვის, უმწეოა!

მაშასადამე, ახალთაობას რომ თავიდან ავაცილოთ ეს საშინელება, საჭიროა აღვზარდოთ მათ სულთან ერთად მათი ტანიც, და თეორიასთან ერთად მათ პრაკტიკაც მივაწოდოთ. და ნორმალურს, ახალი ტიპის სასწავლებელში ისეთივე ადგილი უნდა ეჭიროს ხელოსნობასა, მიწის მუშაობასა და სავაჭრო ცოდნას, როგორიც ლიტერატურასა, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას უჭირავს. და ნურავინ იფიქრებს, ფიზიკურმა მუშაობამ ხელი შეუშალოს თეორიულ სწავლას: პირიქით, პრაკტიკა და თეორია ერთმანეთზე მჭიდროთ დამოკიდებულია, რადგან პრაკტიკული მიზანი ახალისებს, აქეზებს თეორიულ ცნობისმოყვარეობასა და, პირიქით, პრაკტიკა, თეორიას მოკლებული ვერ სცილდება რუტინას.

და, ვინც ამგვარ სასწავლებელში ისწავლის, ის, კიდევაც რომ ვერ დაასრულოს რომელიმე მიზეზის გამო, კურსი, ცხოვრებაში მაინც მომზადებული და შეიარაღებული გამ-ავა, რადგან თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაკტიკული მუშაობის უნარიც ექნება.

გავიმეორებ: დროა, უკუაგდოს თანამედროვე სასწავლებელმა სულისა და ხორცის მომწამვლელი, დახავსებული სქოლასტიკა და რეალურ საფუძველს დაეფუძნოს. დედა ენაზე სწავლება ერთი ნაბიჯია

წინ სქოლასტიკისგან გათავისუფლებისკენ. სწავლა მხოლოთ მაშინ მოიტანს შესაფერ ნაყოფს, როდესაც სქოლასტიკა სრულიათ განდევნილი იქნება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ, თუ კი უნდათ გადააკეთონ ქართული გიმიაზია, ბარემ, საფუძვლიანათ, ძირიანათ უნდა გადააკეთონ და არა მხოლოდ ნახევრათ. და თუ საზოგადოთ ყველაფერში შემაფერხებელი ყოფილა ნახევარი ნაბიჯი, მეტადრე ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში იქხება.

ვასილ წერეთელი.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.

შემდეგ ნუმერში დაისტამბება ბ. ნიკო ნიკოლაძის სტატია ძველი და ახალი თაობის საქართველოში პირველათ შეტაკების შესახებ.

პირველი ნუმრისთვის დამზადებული ფელეტონი ვერ მოთავსდა, უადგილობის გამო და შემდეგ დაისტამბება.

ადამიანის სხეულის სანიტარები.

ერთ დროს მეცნიერებაში გამეფებული იყო ფილოსოფოსი დეკარტის მოძღვრება. ამ მოძღვრების განმარტებით ყოველი სულიერი არსება და მასთანვე ადამიანიც იყო სხვა და სხვა ორგანოების ასოციაცია, ხოლო ყოველი ორგანო ასრულებდა რაიმე მოქმედებას იმ უცნობის ძალის გავლენით, რომელიც არსების გარეშე იყო...

გავიდა ხანი. და ფილოსოფოსი დეკარტის მოძღვრებამ დაუთმო ადგილი Bichat-ის მოძღვრებას, რომელმაც სრულებით გადაახალისა მეცნიერება.

Bichat-ის აზრით ცოცხალ არსების ყოველ ორგანოს, ყოველ მის ნაწილს თვისი საკუთარი თვისება აქვს; ერთი და იგივე გამაღიზიანებელი ძალა სხვა და სხვა ორგანოებზე ერთგვარათ როდი მოქმედობს; ნერვებში რომ გრძნობიერებას გამოიწვევს, ჯირკვლებს სითხეს გამოადენს, მუსკულებს მოკუმშავს. გარდა ამისა, გამაღიზიანებელი ძალა ერთ ორგანოზე რომ მოქმედობს, მეორეზე, შესაძლოა, სრულებით გავლენა არ იქონიოს.

დღეს ზემოხსენებულ მეცნიერის აზრი კიდევ უფრო გაფართოვდა; ახლა მეცნიერთა აზრით, ადამიანის სხეული წარმოადგენს ფედერაციას სხვა და სხვა ორგანოსა და ნაწილისას. ეს კავშირი ხელს უწყობს სხეულის ზრდას და განვითარებას. მაშასადამე, დეკარტის მოძღვრება დღეს უკუგდებულია და სიცოცხლე თვით სხეულის ნაწილებშია.

ამ გვარმა ახალმა აზრმა გამოიწვია შესწავლა უმცირესი ნაწილებისაც; დაიწყეს ყოველ გვარ უჯრედების თვისების შესწავლა. აი, სწორეთ მაშინ გამოირკვა სისხლის თეთრი ბურთულების (ბირთვების) დიდი მნიშვნელობა ადამიანის სხეულისთვის.

1775 წელში ინგლისელმა მეცნიერმა Hewson-მა აღმოაჩინა, რომ ადამიანის სისხლში, წითელ ბურთულების გარდა, არის კიდევ ერთგვარი უფერო მოძრავი სხეულები, რომლებსაც სახელათ ,,თეთრი ბურთულები'' დაერქვათ.

თეთრი ბურთულები განირჩევიან სისხლის წითელ ბურთულებისგან, როგორც ფერით, ისე მცირე რაოდენობით; ყოველ 300 წითელ ბურთულაზე მხოლოდ ერთი თეთრი ბურთულა მოდის.

თეთრი ბურთულა მოძრავი სხეულია და ეს არის მისი უმთავრესი და ფრიად დიდმნიშვნელოვანი თვისება.

თეთრი ბურთულები იმყოფებიან არა მარტო სისხლში, არამედ ყოველ ორგანოს უჯრედთა შორისაც. თეთრი ბურთულას სხეული თონთლო ნივთიერებაა -- პროტოპლაზმაა, რომელსაც აბკა არა აქვს გარშემო. თეთრი ბურთულა, სხვა და სხვა გარემოების გავლენით, სხვა და სხვა მოყვანილობისაა, მოძრაობს კი ამ გვარად: ჯერ წასწევს წინ თვისი სხეულის ერთ ნაწილს, პაწაწკინა თითის მზგავსსა, რომელსაც გარშემოერტყმის დანარჩენი ნაწილიც სხეულისა, შემდეგ კიდევ წარსდგამს თათს და გარშემო კვლავ მოგროვდება სხეულის დანარჩენი ნაწილი.

და, აი, ამ გვარად მოძრაობს თეთრი ბურთულა და მიემართება იქით, სადაც საჭიროება მოითხოვს. რამდენსამე საათის განმავლობაში ბურთულა გაივლის რამდენსამე მილიმეტრს. მის მოძრაობას ველარაფერი ვერ დააბრკოლებს. მას თავისუფლათ შეუძლია გააღწიოს სისხლის მილებშიაც. საკმარისია მხოლოთ როგორმე გააძვრინოს ბურთულამ უჯრედების შუა წინ წაწეული ძაფის მსგავსი თათი და, მერმე, დანარჩენ ნაწილის გაძვრენას ადვილათ მოახერხებს. ბურთულა გამოდის მილიდან და მიემართება იქით, სადაც მისი ყოფნა და შველა საჭიროა, ასე რომ მას რაღაც განსაკუთრებული ალღო უნდა მივაწეროთ. სანამ ადამიანის სხეული ჩვეულებრივ გარემოებებშია, ლეიკოციტებიც თავიანთ ადგილას არიან. მაგრამ, თუ სადმე სხეულს რომელსამე ადგილას გარედან შეაღწია შხამიანმა მიკრობმა და მოშხამა ის, ის ადგილი, მაშინვე ბურთულა გაეშურება მოშხამულ ადგილისკენ; მიუახლოვდება თუ არა მიკრობს, ბურთულა გამოუშვებს მრავალ თათებს, რომლებითაც გარშემოერტყმის მიკრობს და თანდათან იხვევს, თითქო ნაჭავს; მიკრობი ნელნელა ილევა

და, ბოლოს, სრულებით იხსნება, წყალდება ბურთულას თანთ-ლო სხეულში.

მიკროსკოპის საშუალებით შეგვიძლია დავინახოთ, რომ ერთი და იგივე ბურთულა თუ საჭიროება მოითხოვს ყლაპავს და ნთქავს ერთს, ორს, სამს და კიდევ უფრო მეტს მიკრობს, სანამ თვითონ არ გასკდება.

ამ დროს არც მიკრობი ნებდება უბრძოლველათ ბურთულას! მათ შორის სასტიკი ბრძოლაა, ან ერთი დარჩება გამარჯვებული, ან მეორე.

ბურთულა ამ ბრძოლის დროს უშვებს ისეთს სითხეს, რომლითაც შეუძლია მიკრობის მონელება.

მიკრობი როგორღა იბრძვის?

ჯერ იმით, რომ ფრიად სწრაფათ მრავლდება, მერმე მით, რომ ცდილობს თვისის შხამით მოსწამლოს ბურთულა.

ის, რასაც ავათმყოფობას ვეძახით, არის მხოლოდ სურათი და გამომხატველი ამ ბრძოლისა. თუ მიკრობებმა აჯობეს და მოშხამეს ბურთულები, მაშინ ცხადია, ბურთულებმა ვერ შესძლეს მათი განადგურება და ავათმყოფი კვდება.

ყოველ ცოცხალ არსების სხეულში გროვდება მრავალი მავნე ნივთიერება, რომელიც არის შედეგი სხეულის ნაწილების დაწვა-დაშლისა; ამ ნივთიერებისგან სხეული უსათუოთ განთავისუფლებული უნდა იქნას, თვარა სხეული მოიწამლება.

თეთრი ბურთულების დანიშნულებაა, სხვათა შორის, გაწმენდა და გათავისუფლება სხეულისა ამ ნივთიერებისგან; ზოგი ამ მავნე ნაწილებისა ბურთულებს გადააქვთ ნაწლევებში, საიდანაც უფრო ადვილია მათგან გათავისუფლება. რრდესაც ადამიანის სხეული იწამლება მიკრობების მიერ გამოშვებულ შხამით, ისევ თეთრი ბურთულები ცდილობენ მოსპონ და გააქრონ ეს შხამი და გაასუფთავონ სისხლი. შეგვიძლია მივიღოთ რაიმე მონაწილეობა თეთრი ბურთულების და მიკრობთა ბრძოლაში, თუ არა?

რომ ამ გვარი მონაწილეობის მიღება ყოვლად შესაძ-ლებელია, ეს ხუნაგის ასაცრელი შრატის გამოგნებას მოწ-მობს. ამ შრატის გავლენით ვაძლიერებთ ბურთულებს და ვაძლევთ მეტს ძალ-ღონეს მიკრობების დასამარცხებლათ. ყველამ იცის რა საოცარი შედეგი მოსდევს ამ შრატით წამ-ლობას.

მეცნიერმა პასტერმა გამოაქვეყნა პირველათ, რომ ერთი და იგივე მიკრობი ყოველთვის ერთგვარის ძალისა როდი არიო. შეიძლება ძლიერ მომწამვლელი იყოს, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ეს თვისება მოაკლდეს, ამ გვარი დაუძლუ-რებული მიკრობი სხეულს ვერას აკლებს, სხეული უვნებელი რჩება. ეს რა მოვლენაა? დიდებულმა მეჩნიკოვმა დაამტკიცა თვისი გამოკვლევით, რომ ამ გვარი სუსტი მიკრობები იმი-ტომ ვერას აკლებენ სხეულს, რომ ვერ უძლებენ ბურთულე-ბის ბრძოლას. როგორც კი გაჩნდებიან სხეულში ამ გვარი მიკრობები, ბურთულები მაშინვე თავს ესხმიან და ნთქავენ. იმიტომ ადამიანი ან სულ არ გახდება ავათ, ან და, თუ გახდა, ძლიერ სუბუქათ.

ბურთულებს ერთი ფრიად ძვირფასი თვისება აქვთ: თუ ერთხელ სძლიეს შხამიან მიკრობს, მეორედ კიდევ უფრო გაუადვილდებათ მისი დამარცხება, რადგანაც ეჩვევიან მის შხა-მის მონელებას და უფრო დახელოვნებული შეიქნებიან ხოლმე.

აი, თეთრ ბურთულების სწორედ ამ ძვირფას თვისებაზეა დამყარებული სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენის აცრა.

ავიღოთ, მაგალითათ, და ცხვარს ერთის ყურის კანში შევაპკუროთ დასუსტებული მიკრობები, ხოლო მეორეში იგი-ვე მიკრობები მხოლოდ უფრო შხამიანი. პირველი ყური ცხვრისა მალე მორჩება, რადგან ამ დასუსტებულ მიკრობებს ბურთულები მალე და ადვილად გაანადგურებენ, მეორე ყუ-რის კანში კი შხამიანი ბაცილები გამრავლდებიან, რადგან ბურთულებს დასძლევენ და ცხვარიც მალე გასჭიმავს ფეხს.

ახლა ავიღოთ ორი ცხვარი. ვთქვათ ერთმა აიტანა ამ გვარი აცრა, მეორემ კი-ვერა. შევაპკუროთ ორივეს კან ქვეშ ამ გვარივე შხამიანი მიკრობები; პირველი მალე მორჩება, მეორე კი-არა.

მაშასადამე, ის თვით-დაცვის ძალა, რომლის წყალობით ადამიანი ებრძვის მრავალ სხვა და სხვა გვარ ავათმყოფობათა, სხვათა შორის, დამყარებულია ამ თეთრ ბურთულებზედაც. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თეთრი ბურთულები ათავისუფლებენ სხეულს სხვა და სხვა მავნე ნივთიერებისგან, ანადგურებენ სხეულში შესულ მავნე მიკრობებს და სწმენდენ სისხლს მათ მიერ გამონაღებ შხამისგან არიან საუკეთოვო სანიტარები ჩვენი სხეულისა.

მკურნალი ბადრიძე.

ჩერნიშევსკი და მიხაილოვი*).

ჩერნიშევსკი ეშაფოტზე

70-იან წლების მიწურულში პეტროგრადში შედგა ახალგაზდა ინტელიგენტთა წრე. ამ წრეში, უმთავრესათ, კითხულობდენ გერცენის მიერ ლონდონში გამოცემულ ნაწერებს. გერცენს ძალიან დიდი გავლენა ქონდა ახალგაზდობაზე, როგორც პუბლიცისტს და მამხილებელს. წრეში მოსიარულეთა რიცხვში ერია სამი ქალი, პირველი ქალები, რომელთაც სა-

---

*) ეს მემუარები ეკუთვნის რუსის ცნობილ პროფესორის მეუღლეს. პირველათ ჩვენს ჟურნალში ისტამბება. რედ.

მხედრო მინისტრმა მილიუტინმა, ახალგაზდა პროფესორის ბოროდინის თხოვნით, ნება მისცა უნივერსიტეტში და სამხედრო სამედიცინო აკადემიაში შესულიყვენ. მათ შორის ყველაზე უფრო რევოლიუციონური ელემენტი იყო მარიამ არსენის ასული ბ. ცხარე ბუნების პატრონი, მტკიცე ნებით აღჭურვილი, ხანგრძლივი შრომის უნარით დაჯილდოებული, ის არ ემორჩილებოდა არავითარ კომპრომისებს. წრე ჩემს ბინაზე იკრიბებოდა, რადგან ჩემს ქმარს ისეთი თანამდებობა ეჭირა, რომელიც თითქმის სრულიათ უზრუნველყოფდა წრეს „მოულოდნელი სტუმრობისგან“.

სახსოვარ დილას, 17 ნოემბერს, მარიამ არსენის ასული ყველაზე გვიან მოვიდა — და ჩუმათ დაჯდა კუთხეში. მისი სახე მოწყენილი და აღელვებული იყო. მე მივედი მასთან და ვკითხე:

— საიდან მოხველით?

— ცხენების მოედნიდან (съ конной площади) — მიპასუხა მან.

იქ, დღეს დილით ცხრა საათზე ეშაფოტზე განაჩენი წაუკითხეს ნიკოლოზ გაირიელის ძე ჩერნიშევსკის. ეშაფოტი გარშემორტყმული იყო თოფიანი სალდათებით და ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელებით.

გამოიყვანეს ნ. გ ჩერნიშევსკი, (თავზე ეხურა კრაველის ქუდი) ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილი. ეშაფოტთან იდგენ ბრალმდებელი და ჟანდარმები.

ბრალმდებელმა დაიწყო საბრალმდებლო ოქმის კითხვა: ოქმი შეიცავდა ყალბ წერილს, რომლითაც ვითომ ბრალს დებენ მთავრობას გლეხების უხეიროთ გათავისუფლებაში და ამით აჯანყებას და უთანხმოებას თესდენ პროვინციებში და სოფლებში.

ოქმის კითხვის დროს დამცინავი ღიმილი არ შორდებოდა ჩერნიშევსკის კეთილ და ჭკვიან სახეს. ხალხი, რომელიც სალდათების წრეს ედგა უკან, ცოცხალ ყვავილების აუარე

ბელ თაიგულებს ესროდა ნიკოლოზ გაბრიელის ძეს. სალდათები იჭერდენ გასროლილ თაიგულებს და ფეხებით სრესდენ.

მაგრამ ერთი თაიგული პირდაპირ ხელში ჩაუვარდა ჩერნიშევსკის და მან მოასწრო მისი ჯიბეში დამალვა.

კითხვის გათავების შემდეგ, როდესაც მოსამართლეები დაიშალენ, მივიდა ჯალათი, უბრძანა ნ. გ.—ს დაჩოქილიყო, გადაამტვრია მას თავზე ხმალი, გახადა პალტო და ტუსაღის ნაცრისფერი ხალათით შემოსა. ჩერნიშევსკი თავშიშველი დარჩა. ცივი, წვრილი წვიმა ჟინჟღლავდა მის რბილ ქერა თმას, მისი კეთილი ცისფერი თვალები ჩვეულებრივათ მშვიდათ გამოიყურებოდენ, დამცინავი ღიმილი არ შორდებოდა მის ბაგეს. მოიყვანეს ეტლი; ჯალათმა ჩასვა შიგ ნიკ. გაბრიელის ძე. სალდათები უფრო მჭიდროთ შემოერტყენ გარშემო და ფანტავდენ ახალგაზდობას, რომელიც ეტლთან მოახლოვებას ლამობდა. სალამით, ცრემლით და ქვითინით აცილებდენ ეტლს. გაისმა დაფდაფების გრიალი. ამით უნდოდათ მიეყრუებიათ ყოველი ხმა და სიტყვა, რომელიც ჩერნიშევსკისკენ იყო მიმართული. ეტლმა სწრაფათ გასწია საპყრობილესკენ. ბრბო ნელნელა იშლებოდა.

—

მეორე დღეს ჩერნიშევსკის თაყვანისმცემლები და მეგობრები მივიდენ გენერალ-გუბერნატორ თავად სუვოროვთან და მიმართეს თხოვნით, რომ ჩერნიშევსკისთვის მგზავრობის აუტანელი სიმძიმე ცოტაოდენათ მაინც შეესუბუქებიათ.

სუვოროვი მოხუცებული გენერალი იყო. ძალიან ლამაზი, შვენივრათ გაზდილი და თავაზიანი კაცი. მან ნება მისცა ჩერეიშევსკის წაეღო თან მის მიერ ამორჩეული წიგნებით სავსე ყუთი, თფილი ტანისამოსი და იმდენი ფული, რამდენიც მგზავრობის დროს იყო საჭირო. რადგან ნეკრასოვის „სოვრემენიკი“ ჩერნიშევსკის და სალტიკოვის ხელში იყო, ფულიც ბლომათ იშოვებოდა.

ორი კვირის შემდეგ, საპყროობილის ალაყაფის კარებიდან გამოვიდა ცხენოსანი რაზმით გარშემორტყმული ეტლი. ეტლში იჯდა ჩერნიშევსკი, ტანზე ეცვა დათვის ქურქი, ფეხები, რომელზედაც პაიჭები ქონდა ჩამოკრული, დათვის ტყავის ტომარაში ჩაეწყო და ქვეშ წიგნებით სავსე ყუთი შამოედგა.

ასეთი იყო უკანასკნელი აკორდი ამ ღრმა, ნათელი და სიკეთით გამსჭვალული ჭკუიანი ადამიანის მოღვაწეობისა.

მას ასახლებდენ იაკუტის ოლქში.

E. №.

სექტემბერი, 1913 წელი.

სალიტერატურო და სამუსიკო საღამო.

ციმბირში გადასახლებულ პოეტის მიხაილოვის სასარგებლოთ.
(ჰაინეს მოარგმნელია.)

დიდი საკონცერტო დარბაზი პეტროგრადში მიატლევის ქალის სახლში ხალხით იყო გაჭედილი. უმრავლესობა ფეხზე იდგა, რადგან სავარძლები და სკამები აღარ იშოვებოდა.

აფიშებზე, რომელიც აკრული იყო სვეტებზე და შესავალი ოთახის კედლებზე, შემდეგი ეწერა; „სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. უნივერსიტეტიდან ფულის შეუტანლობის გამო—გამორიცხული სტუდენტების სასარგებლოთ“.

განყოფილება 1.

1) ნაწყვეტები გაიდნის ორატორიიდან: „წელიწადის ოთხი დრო“. შეასრულებს 16 ხელი 4 როიალზე.

2) მარმელადოვის საუბარი რასკოლნიკოვთან სამიკიტნოში მისი ტანჯული ცხოვრების შესახებ. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელიდან“, წაიკითხავს დოსტოევსკი.

3) ნეკრასოვის ლექსს: „Ѣду ли ночью по улицѣ темной“ წაიკითხავს ავტორი.

4) ჩერნიშევსკი წაიკითხავს მოგონებას დობროლიუბოვის საზღვარგარეთ ცხოვრების შესახებ.

განყოფილება 2.

1) სამგლოვიარო მარში ბეთხოვენის „მგირული სიმფონიიდან“. შეასრულებს 16 ხელი.

2) სლეპკოვის მოთხრობა (სათაური არ მახსოვს). წაიკითხავს თითონ ავტორი.

3) ისტორიის პროფესორი პეტროგრადის უნივერსიტეტისა პავლოვი წაიკითხავს ნოვიკოვის ცხოვრების და გადასახლების შესახებ.

4) შოპენის სამგლოვიარო მარში. შეასრულებენ 4 როიალზე.

—

აიხადა ფარდა. ესტრადაზე იდგა ოთხი როიალი. მათ წინ ისხდა 8 ახალგაზდა ქალი, შავი სამგლოვიარო კაბებით და თეთრი ტილოს საყელოებით გამოწყობილი. ლოტბარმა პატარა ჯოხით ანიშნა მათ, და გაზაფხულის დილის რბილი გარკვეული ხმები გაისმა; მზე ამოვიდა, ნაკადულები აჩუხჩუხდენ. ჩიტებმა მხიარულათ ჭიკჭიკი იწყეს. მამალი ჩიტები დედალი ჩიტების გარშემო დაფრთხიალებდენ და ფოთლების მწვანე ხშირ ჩრდილში იწვევდენ მათ. სიცოცხლის სუნთქვა ყველას ათრობდა, ყველაფერი გარშემო ბედნიერების და შემოქმედების წყურვილით იყო გატაცებული. დიდხანს ატკბობდა სმენას გაიდნის მუსიკის მელოდიური ხმები, რომელნიც იმედს და ბედნიერებას უქადიდენ ადამიანს. ბოლოს მუსიკა მისწყდა.

ესტრადაზე გამოვიდა დოსტოევსკი. ის შუა ტანის კაცი იყო, გამხდარი, მოტეხილი; სახეზე მიწის ფერი ედვა; მოძ-

რაობა ნერვული ქონდა; მისი თვალები დაღალულათ და მიმქრალათ იცქირებოდენ: ათი წლის ცხოვრებას კატორღაზე, რომელიც მან ასე შესანიშნავათ ასწერა თვის ,,მკვდარ სახლში'', წაუშლელი დაღი დაემჩნია მის გარეგნობაზე.

ის-ის იყო დოსტოევსკის მოთხრობის კითხვა უნდა დაეწყო, რომ უეცრათ ზნემ მოუარა და იგი გაიყვანეს კულისებში. მისი ადგილი ნეკრასოვმა დაიკავა. ფერმკრთალი, გამხდარი, სასიკვდილოთ ავათმყოფი, ის კითხულობდა თავის ლექსს: ,,Ѣду ли ночью по улицѣ темной'', ნელი, ჩაწყვეტილი ხმით. როდესაც ნეკრასოვმა მიაღწია იმ ადგილს, სადაც საქორწილოსავით გამოწყობილი ქალი გამოვიდა სახლიდან—და ცოტა ხნის შემდეგ მიუტანა ,,პატარას კუბო და ქმარს ვახშამი'',—ხალხში ქვითინი გაისმა.

ამის შემდეგ, ესტრადაზე გამოვიდა ჩერნიშევსკი. მან გვიამბო ერთი ეპიზოდი დობროლიუბოვის ცხოვრებიდან პარიზში. დობროლიუბოვი გაიტაცა ერთმა ცუდი ყოფაქცევის ლამაზმა ქალმა. ამ ქალის მიერ თავის დაჭერას, მის ტანსამოსს და მისი ორი პატარა ოთახის მოწყობილობას სრულიათ არ ემჩნეოდა იმ მყვირალა, იაფფასიანი ფუფუნების ნიშნები, რომელიც მისი ხელობის ქალებს ახასიათებს.

დობროლიუბოვს უნდოდა ჯვარი დაეწერა მასზე და პეტროგრადს წაეყვანა. მაგრამ არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა ქალზე. პარიზი მისთვის მთელი ქვეყნიერება იყო; დათვებისა, თოვლისა და აღმოსავლეთის დესპოტიზმის ქვეყანაში წასვლას ის არ დათანხმდა. რამდენჯერმე დაბრუნდა დობროლიუბოვი პარიზს. მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო. იყო. ამასთან ერთად მისი ავათმყოფობაც თანდათან ძლიერდებოდა—და ისე დაიღუპა, რომ ვერც ბედნიერება განიცადა—და ვერც უსზღვრო ნეტარება, რომელსაც სიყვარული ანიჭებს ადამიანს.

მეორე განყოფილება დაიწყო ბეთხოვენის ცნობილი სა-

მგლოვიარო მარშით მისი „გმირული სიმფონიიდან''; ეს მარში დაიწერა რევოლიუციისთვის მებრძოლ ფრანგ მეომართა სახსოვრათ, რომელნიც ევროპის კოალიციასთან ბრძოლაში დაიღუპენ.

შემდეგ სლეპკოვმა ერთი თვისი პატარა მოთხრობა წაიკითხა. სათაური არ მაგონდება. მის შემდეგ გამოვიდა პეტროგრადის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი პავლოვი და ნოვიკოვის ბიოგრაფია წაიკითხა საკუთარი კომენტარიებით. როდესაც მან კითხვა გაათავა, ორჯერ ხმამაღლა და გარკვეულათ გაიმეორა: ,,ვისაც ასხია ყურნი სმენათ- -ისმინედ''-ო.

უკანასკნელი ნუმერი იყო შოპენის ყველასთვის ცნობილი, შესანიშნავი სამგლოვიარო მარში.

პირველი მისი აკორდები გულის სიღრმიდან ამოხეთქილი მოთქმა იყო საყვარელ ადამიანის კუბოსთან... შემდეგ გარკვეულათ მოისმოდა ცრემლების წყნარი რაკა-რუკი კუბოს სახურავზე... უკანასკნელათ-კი ძლიერი, მაღალი ხმები სულს უსაზღვრო მწუხარებას ეკრიდენ...

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, უდანაშაულო, ჭლექით შეპყრობილ მიხაილოვს შეეხებოდა.

საზოგადოება გრძნობდა ამას და სდუმდა. ფარდა დაეშვა. მალე ფარღის უკან სიმღერა მოისმა. მომღერალთა გუნდი ნეკრასოვის „Парадный подъѣзд"-იდან მღეროდა:

„Укажи мнѣ такую обитель,
Я такого угла не видалъ,
Гдѣ бы сѣятель нашъ и хранитель,
Гдѣ бы русскій мужикъ не стоналъ"!

საზოგადოება ნელ-ნელა იშლებოდა. მაგრამ შესავალი ოთახში ხალხის ჯგუფებიდან ყოველ წუთში მოისმოდა: „Укажи мнѣ такую обитель", ან „Гдѣ бы русскій мужикъ не стоналъ".

მეორე დღეს პეტროგრადში ხმა გავრცელდა, პროფესორი პავლოვი დააპატიმრეს და რამდენიმე დღის შემდეგ გაამგზავრებენ ,,არც იმდენათ შორეულ ადგილსო'' ..

ამასთან ერთად ბევრ ფოტოგრაფიებში ფარულათ ყიდდენ პატიმრის ფარაჯაში გამოწყობილ და ფეხებში ხუნდებ გაყრილ პოეტის მიხაილოვის სურათებს.

მიხაილოვმა ვერ მიაღწია დანიშნული ადგილს. გზაში გარდაიცვალა.

E. №.

---

† ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

(1852 — 1914 წ.)

ჩვენმა მცირე რიცხვოვანმა საზოგადო მოღვაწეთა გუნდმა წასული წლის 6 ქრისტეშობისთვეს ერთი შესანიშნავი ადამიანი დაკარგა—ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

მკითხველი ქართველი, და არა მარტო ქართველი, კარგათ უნდა იცნობდეს ზუბალაშვილების არა ჩვეულებრივ გულკეთილობასა და სიუხვეს. ბევრი, ბევრი რამ გვიძღვნეს ზუბალაშვილებმა. დავიწყოთ, თუ გსურთ წერა-კითხვის საზოგადოებიდან: გარდა უხვი შეწირულებისა, ზუბალაშვილებმა ყოველწლიურად ექვსასი თუმანი დაუნიშნეს ამ საზოგადოებას ღარიბ მოწაფეების სასტიპენდიოთ... ზუბალაშვილებმა საკუთარის ხარჯით ააგეს თფილისში სახალხო სახლი: (იქვეა შვენივრათ მოწყობილი ბიბლიოთეკა) ამავე დარბაზში იმართება სხვა და სხვა ენაზე და სხვა და სხვა დარგიდან ლექციები; წარმოდგენები და კონცერტები, სადაც ღარიბ ხალხს, 'განურჩევლათ ეროვნებისა, საშვალება

ეძლევა ისმინონ თავთავის ენაზე გონიერი სიტყვა და დატკბენ შვენიერი ანგებით.

სამადლო სახლი, ბავშთა საავათმყოფო ზუბალაშვილებმა შექნეს და ასაზრდოებენ...

თფილისმა უკვე დააფასა მაოი ღვაწლი და თავის საპატიო მოქალაქეებათ აირჩია ისინი.

ახლათ გადაცვალებული ლევანი დაიბადა თფილისში 1852 წელს; იზდებოდა ქუთაისში თავის პაპა მიხეილ თუმანიშვილთან; ქუთაისშივე მიიღო პირველ დაწყებითი სწავლა. შემდეგ გადავიდა მოსკოვს და ცოლი შეირთო. ოჯახში ლევანი ბედნიერი არ ყოფილა: მან დაკარგა ცოლიც და ერთათერთი შვილიც. მაგრამ ცოლშვილის გადაცვალებამ ის ვერ დასცა სულით. წინააღმდეგ, ამ უბედურების შემდეგ, ლევანი უფრო მეტი სიყვარულითა და ენერგიით შეუდგა მოძმის მრავალ ნაირ ნაკლულევანებისა და ტანჯვების მოსპობას. მოიგონეთ მისი ნახევარი მილიონის ოდისგან შექნილ უბედურებათა შესასუბუქებლათ შეწირვა, მოიგონეთ მისი მახლობელი მონაწილეობით საბავშო საავათმყოფოს აშენება თფილისში, მოსკოვში მისი დიდებულ სახლების დაჭრილ მეომრებისთვის ლაზარეთათ დათმობა; თფილისის საარგებლოთ მისი შეწირულობები, 30,000 მანათი კათოლიკეთა საკუთარი ეკლესიის ასაგებათ მისგან გადაკემული და ყოველივე ამის შემდეგ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა მრავალფეროვანი იყო აწ განსვენებული ლევან კონსტანტინეს ძის ღვაწლი და გულკეთილობა.

დიახ, პატივსაცემია ამ გვარი ადამიანი, რადგან ის არა მარტო ქველმოქმედია—მაღალი მისაბაძი მაგალითიც არის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზუბალაშვილები საყურადღებო არიან ჩვენი ცხოვრებისთვის, არა როგორც მარტო ქველმოქმედნი და დიადი გულკეთილობის მატარებელი გვამები.

არა ისინი საგულისხმო არიან, როგორც გაევროპიელებული ქართველებიც, რომელთაც დაგვარწმუნეს, რომ ქართველსაც შეუძლია გამდიდრდეს, მოიხვეჭოს ძალ-ღონე, შეიქნას თავის ბურჟუაზია და განძი, რომ მით თვისი კაპიტალისტური დიადი მომავლისკენ წინ სვლა განამტკიცოს და უზრუნველყოს.

ომის მატიანე.

1.

გასული 1914 წ. ივლისის შუა რიცხვებში დაიწყო ახლანდელი ომი, ერთი მხრით, გერმანია-ავსტრიასა და, მეორე მხრით, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, სერბიის, ჩერნოგორიის, ბელგიის და იაპონიის შორის და მაშინვე ატყდა სისხლისღვრა ხმელეთზე და ზღვებზეც.

გერმანიას ომის საწარმოებლათ ორი გეგმა ქონდა შემუშავებული: ძველი—1870 წ. სახელოვანის მოლტკესი და ახალი—შტაბის.

მოლტკეს გეგმით გერმანიას უმთავრესი ყურათღება თვისი დასავლეთით მყოფ მტრებისთვის უნდა მიექცია და მათკენ იერიშებით დაეწყო სამხედრო მოძრაობა. სანამ დასავლეთის საზღვარზე მოწოლილ მტრის ჯარებს სრულიათ არ გაანადგურებდა, მანამდი რუსეთისკენ მხოლოთ, ასეწოდებული, თავის დაცვითი (оборонительно) მოქმედებით უნდა ეწარმოებია საქმე. შტაბმა კი შეიმუშავა სრულიათ ამის წინააღმდეგი სამხედრო ტაქტიკა, ე. ი., ძლიერის იერიშებით მიწოლოდა რუსეთს, წინ წინ გაეწია რუსეთისკენ და შეემუსრა იგი. ხოლო თვისი ქვეყნის დასავლეთი საზღვრები რუსეთზე სრულიათ გამარჯვებამდი გაემაგრებიათ ფრანგებისა და სხვა მის მოკავშირეთა თავდასხმისგან.

გერმანიის ხელმწიფემ, ვილგ ლმ მეორემ. ძველი, მოლტკეს გეგმა მოიწონა და პირველი თვისი რისხვა მიიტანა საფრანგეთზე. აი, რათ აირჩია ვილგელმა მოლტკეს გეგმა: გერმანიას რუსეთისკენ თვის საზღვრები შვენიერი ციხე-სიმაგრეებით აქვს გამაგრებული. შვენიერათვეა მოწყობილი რკინის გზები, რომლითაც საჭიროების, დროზე, შეუძლია სწრაფათ მიაყაროს საზღვარს საკმაოთ ჯარი. გერმანიის ტერიტორია ბევრზე ბევრათ მკირეა რუსეთზე. აი ყველა ამ მოსაზრებით ის დარწმუნდა, რომ ტეხნიკურათ ჩამორჩენილ დიდ რუსეთს ძლიერ გაუჭირდებოდა მობილიზაციის გახორციელება. იმ ჯარს, რომლის მორეკასაკ შეძლებდა რუსეთი გერმანიის ცნობით, გაუმაგრდებოდა. ის კი წარმოუდგენელი სისწრაფითა და მედგრათ გაექანებოდა დასავლეთისკენ, შემუსრავდა იქ მტრებს და ძლევამოსილი მოუბრუნდებოდა მარტოთ დარჩენილ რუსეთს და სულ დათქმით შეემბოდა მას — სამკვდრო სასიცოცხლო ომში. — ამ მიზნის გახორციელებას ეხმარებოდა ის ხრიკიც, რომელიც ვილგელმა იხმარა რუსეთის წინაშე: მკითხველს, შესაძლებელია ახსოვდეს, თუ რა შემოუთვალა ვილგელმმა ხელმწიფე იმპერატორს. ის აფრთხილებდა რუსეთს — მობილიზაცია არ დაიწყო, რადგან რუსეთის მობილიზაცია ხელს შეუშლის ევროპაში ჩემს დიპლომატურ მოლაპარაკებას, რომლის მიზანია მხოლოთ ომის თავიდან აცილება და საერთაშორისო მშვიდობიანობაო. მაგრამ, რიკორკ ვიქვით, ეს მხოლოთ დიპლომატური ხრიკი იყო; მას სურდა ამით მოეტყუებია რუსეთი და უკანასკნელის მობილიზაციის მოხთენა შეეჩერებია, რომ ამით თვისი გულ-ნადები აესრულებია. მაგრამ საქმე სხვაგვარ დატრიალდა: რუსეთმა ამაზე ცივი უარი უთხრა; იქეთ გმირმა ბელკიამ გასაკვირებელი მტკიცე დახვდომით აზრი დაუბნია გერმანიას. უკანასკნელი რამდენიმე დღის მაგიერ, რამდენიმე კვირა გაჩერდა, ამავე დროს რუსეთმა ისარგებლა და ივი შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში... გერ-

მანიამ აიღო ლიუქსენბურგი, ბელგია და გადალახა საფრანგეთის საზღვარი. გერმანიის არმია დიდის სისწრაფით წასული რამდენიმე ათას ვერსზე მიუახლოვდა პარიზს. და საფრანგეთის მთავრობაც ბორდოში გადაასახლდა. საფრანგეთის ჯარებიც შევიდენ ელზასში და ვოგეზებში გამაგრდენ.

ამ დროს გერმანიის ჯარები შეჩერდენ და არ აიღეს პარიზი, რომლის თავზე ფრთა გაშლილ ეშმაკებივით ცეპელინებით დაფრინავდენ და ხანდახან მაღლიდან ყუმბარებს ესროდენ მას. გერმანიამ ახლა მიელო თავისი ყურადღება მიაქცია საფრანგეთის ჩრდილოეთს და ანტვერპენიდან მოყოლებულ ნავთსადგურებს კალემდე.

რაკი რუსეთმა თავის მოკავშირეთა დასახმარებლათ მთელი თვისი ძლიერება გერმანიის გასანადგურებლათ დაატრიალა და გერმანიის საზღვრებიც გადალახა, აღმოსავლეთ პრუსიის ძიწაწყლებზე კარგა დიდ მანძილზეც შეიჭრა, ვილგელმა მაშინვე მიატოვა ძველი, მოლტკეს გეგმა და მიიღო შტაბის. ეს იყო მიზეზი, რომ გერმანიის ჯარები საბედისწერო იერიშებით წამოვიდენ ვარშავასა და ივანგოროდის ასაღებათ.

ამავე დროს გერმანიამ აიღო ოსტენდე, ნიუპორტი, დიუნკირხენი და კალე. კალედან ინგლისის მიწა-წყლამდი-დოვრამდი 32 -35 ვერსია. აი, სწორეთ ამ კალედან გერმანელებს უნდათ გაილაშქრონ ინგლისის წინააღმდეგ. ამისთვის ისინი სარგებლობენ კრუპის ახალი ზარბაზნებით, რომელნიც ისვრიან 45 კილომეტრზე, ე. ი., ჩვენებურათ 42 ვერსტზე.

ასეთი ზარბაზნებით გერმანელები ყუმბარებს დაუშენენ დოვრს და ფოლკსტონს. ამ გვარათ, ისინი დაიცავენ ინგლისის ნაპირებზე გადასასხმელ დესანტებს.

აი, ამ დიადი მიზნის გასახორციელებლათ გერმანელებმა დაიჭირეს კალე, დიდათ გამაგრდენ საფრანგეთის ნაპირებზე და სრულიათ უზრუნველყოფილნი შეიქნენ ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც...

ორი ახალი სამხედრო ტეხნიკის გამოგონებით გერმანია იპყრობს კიდევ მთელი ქვეყნიერების ყურადღებას. მე მოგახსენებთ ახლანდელზე ოთხჯერ უდიდეს, სრულიათ ახალ, წყალქვეშ მცურავ ნავებზე და ჰაერში მფრინავ გასაოცარ ეს კადრებზე. ინგლისის წინააღმდეგ სწორეთ ამ ცეპელინებით და წყალქვეშ მცურავი გასაოცარი ნავებით იბრძვის დღეს გერმანია. ზღვაზე გერმანიის ფლოტი პირდაპირ ვერ შეებმება ინგლისის უძლიერეს ფლოტს. ამიტომ იგი თვისი ახალი წყალქვეშ მცურავი ნავებით პარტიზანულათ ებრძვის უძლიერეს ზღვისვე შაჰს და საგრძნობელათაც ამარცხებს მას.

შარშან დეკემბრის პირველ რიცხვებში გერმანელებმა გასაოცარი ამბავი მოახდინეს: ისინი ცეპელინებით თავს დაესხენ ინგლისის ქალაქებს: დოვრს, სკარმოროს, უიტბს და ჰარტელპულს და დიდი პირადი და ნივთიერი ზარალიც მიაყენეს მცხოვრებლებს...

თვით გერმანელები არაფერს ამბობენ იმ ესკადრის შესახებ, რომელიც ინგლისის ნაპირებს თავს დაეცა. ამერიკული გაზეთების აზრით ესკადრა გაიჭრა ატლანტიკის ოკეანეში, რომ იქ ზიანი მიაყენოს ინგლისის სავაჭრო ნავოსნობას. გერმანიამ აამხედრა ოსმალები ეგვიპტეში ინგლისის წინააღმდეგ და ბურების ერთი ნაწილი აფრიკაში. შორეულ აღმოსავლეთში იაპონიამ დაამარცხა გერმანიის მცირე რიცხოვანი მოწინააღმდეგენი და გაიმარჯვა ზღვაზეც და ხმელეთზეც.

ინგლისური გავლენიანი გაზეთი „ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი წერს: ცნობებიდან ჩანს, რომ გერმანელები ჯარებს აძლიერებენ. გერმანია ჯარში იწვევს ყველა მცხოვრებს, ამზადებს სამხედრო სურსათს, რომ გაზაფხულზე ახალის ძალებით საბოლოოთ დაამარცხოს მოკავშირენი, ან დაიღუპოს. დგება დრო, როცა თავი არ უნდა მოვიტყუილოთ ოცნებით და ნათლად გავითვალისწინოთ მოკავშირეთა წინაშე წამოყენებული დიადი საქმე... გერმანიას დასავლეთის ასპარეზზე ყავს ორ მილიონამდი ჯარი, მილიონიც აღმოსავლეთისაზე, დაიღუპა ერთი მილიონი და რეზერვი შედგენს

ოთხ მილიონს. მალე გერმანელები შეადგენენ ახალს კორპუსებს. ცხადია, გერმანია უკანასკნელს ზომას იხმარს, რომ გაიმარჯვოს. ამიტომ საჭიროა, რომ სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა თათფირი გამართონ მდგომარეობის გამოსარკვევათ. ჩვენ არ გვეშინია სახალხო ომისა, რადგან სამთა შეთანხმების მცხოვრებთა რიცხვი ორჯელ მეტია, ვიდრე რიცხვი გერმანია-ავსტრიას მცხოვრებლებისა. მაგრამ გამარჯვება დამოკიდებულია ომის კარგი პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე დროზე მიღებულ ზომებზე და მოკავშირეთა შეთანხმებულ მოქმედებებზე. ჩვენ უმთავრესათ ვცდილობდით გერმანელების შემოტევის შეჩერებას დასავლეთის ასპარეზზე. მაგრამ საჭიროა მეტის გაკეთება, თუ გვინდა, რომ ომი ჩვენს სასარგებლოთ გათავდესო.

I.

აღმოსავლეთის ასპარეზზე ომის გამოცხადებისთანავე რუსეთის ჯარები ძლიერის იერიშით მიაწვენ ავსტრო-უნგრეთის არმიას და შერეკენ იგი გალიციაში. რუსეთმა დაამარცხა ავსტრია და მთელი გალიცია თვისი დიდი იმპერიის მიწა-წყალს შეუერთა და გენერალ-გუბერნატორათ იქ დანიშნა გრაფი ბობრინსკი.

დღეს რუსეთის ძლევამოსილი ჯარები კრაკოვთან ძალიან ახლოს არიან მისულნი და კარპატების მთებში ატარებენ ზამთარს. აქ ამ ადგილებში ორი კვირის წინათ მოხდა უსაშინელესი ბრძოლა, რუსეთმა პირდაპირ საარაკოთ გაიმარჯვა და წამოყვანილი იქნა ტყვეთ 111 აფიცერი, 17500 ჯარისკაცი, რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი. ამასთენავე გენერალმა რადკო დმიტრიევმა ტყვეთ წამოიყვანა 22500 ჯარისკაცი. კარპატებში უკანასკნელ დამსრცხების გამო ავსტრიელთა შტაბის ცნობაც ასეთია: „რადგანაც რუსის ჯარმა შეტევა დაიწყო რუმანოვ-ტუხოვის გეზით, ავსტრიელების ძალები კარპატების ფერდობებზე უკან დავიწიეთო“...

როცა რუსეთის ჯარები გერმანიასაც მიაწვა და შეიჭრა მის მიწა-წყალზე, როგორც მოგახსენეთ, იმპერატორმა ვილგელმა უკუაგდო ძველი-მოლტკეს გეგმა და მიიღო შტაბისა.

გერმანიის გაწვრთნილი არმია ძლევამოსილი იერიშებით წამოვიდა ვარშავასა და ივანგოროდის დასაპყრობათ. მაგრამ რუსეთის ჯარებმა განსაკუთრებით ჩვენი კავკასიის და ციმბირის მამაცმა მეომრებმა უდიდესი გმირობა გამოიჩინეს და გერმანელების გეგმა სულ ერთიანათ ჩაშალეს. გერმანიის ჯარები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ თავიანთი ქვეყნის საზღვრებამდი. ეს უკან დახევა იმათი ჯარებისა, როგორც წერდენ სპეციალისტები, ტაკტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეულიო... ასეა, თუ ისე გერმანელები კვლავ ძლიერათ აწვებიან რუსეთის ჯარებს მდინარე ვისლას ორივე ნაპირებზე და აი, აქ ამ ადგილებშია დღეს მოსალოდნელი დიდი ომები...

გასული წლის ოკტომბრის თექვსმეტში ოსმალეთის გემები თავს დაესხენ შავს ზღვაზე ადესას, სევასტოპოლს, ფეოდოსიას და ნოვოროსიისკს; ამან გამოიწვია რუსეთის მხრით ოსმალეთთან ომის გამოცხადება და საქართველოს მიწა-წყალი შეიქნა ასპარეზი დღევანდელ დიდი ომებისა...

რუსეთის ჯარებმა გადალახეს ოსმალეთის საზღვრები და მდ. ეფრათის მდიდარს ნაპირებზე გაჩნდენ.

ოსმალებს ორი გეგმა აქვთ შემუშავებული: პირველი გეგმა ესაა რომ იმათ ულდათ ბათომ ახალციხიდან და სარაკამიშ არდაგანიდან შამოესიონ ჩვენ ქვეყანას და აიღოს ქუთაისი და თფილისი. მეორე გეგმა ისაა, რომ გასჭრან სპარსეთი, ხელში ჩაიგდონ ადერბეიჯანი და მერე, იქიდან შამოესიონ ერივნისა და ბაქოს გუბერნიებს.

ოსმალეთის გამოჩენილი სამხედრო მინისტერი ენვერ ფაშა იქითა კვირაში აზრუმში გაჩდა გერმანელ გენერალ სანდერსთან, რომელსაც აბარია კავკასიისკენ წამოსული ჯარების უფროსობა, მათ მიერ შემუშავებულ ახალი გეგმების წყალობით, ოსმალეთის ჯარებმა ძლიერის იერიშებით შემოუტიეს რუსების ჯარებს და ოსმალები თავგანწირულათ იბრძოდენ სარაყამიშთან და არდაგანისკენაც წამოვიდენ. ჩვენი ხალხი შეძრწუნდა და თფილისსა და ქუთაისშიც დიდი შიში ჩამოვარდა შობისწინადღეებში...

ასეთი სწრაფი მოძრაობა ოსმალებისა აიხსნება იმით, რომ სანდერსმა და ენვერ ფაშამ ოსმალეთის მთელი რეგულიარული არმია კავკასიის საზღვრებისკენ დასძრა და აამოძრავა, რომ შემუსრონ აქ რუსეთის ძლიერება. მაგრამ მეორე დღესვე ცნობა მოვიდა, რომ რუსეთის ჯარებმა სარაყამიშთან საშინლათ დაამარცხეს ოსმალები. მთელი ერთი კორპუსი სრულიათ მოსპეს, ერთი ფაშა, სახელ-დობრ, ესხან ფაშა თვისი აფიცრებით ტყვეთ წამოიყვანეს და არდაგანთანაც დაამარცხეს ოსმალები. მეორე დღესაც, 24 დეკემბერს, ოსმალების ორი კორპუსი კიდევ მოუსპიმთ...

აი, ეს არის ამ ექვსი თვის მოკლეთ ანუსხული ამ ჩვენი დროის უდიადესი ომის მატიანე, მცირე და უმნიშვნელო მომენტების გამოკლებით.

ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნუმერში მკითხველს წარუდგენთ ორი კვირის განმავლობაში მომხრარს ომის ამბებს უფრო დაწვრილებითაც.

კრიტიკა.

აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი.

(აკაკის ნაწერები, პირველი და მეორე წიგნი, ი. მანსვეტაშვილის გამოცემა, 1913 წ.).

1890 წელს თფილისში დაარსებულმა „წიგნების მბეჭვდელ ქართველთა ამხანაგობამ“ დასტამბა აკაკის ლექსები ორ ტომათ. 1913 წელს აკაკის ნაწერები ორ წიგნათ გამოუცია ჩვენს ცნობილს ქველმოქმედს ბ. ი. მანსვეტაშვილს, რომელსაც ყოველივე თადარიგი და ხელმძღვანელობა წიგნების საამდროვო გამომცემლობის „იმერეთის“ პატრონის ბ. ისიდორე კვიცარიძისთვის მიუნდვია.

ეს საქმე ბ. ის. კვიცარიძემ პატიოსნათ და კეთილსინდი-

სიერათ შეასრულა, ესე იგი, აკაკის ნაწერების გამოცემა სუფთათ და ლამაზათაც დაპირებულ ვადაზე შეუსრულა მკითხველ საზოგადოებას, რაც ძალიან იშვიათი ამბავია ქართულ გამომცემლობის ისტორიაში. ამასთანავე გარეგანი, ტეხნიკური მხარეც გამოცემისა უნდა უნაკლულოთ ჩაითვალოს, და კორეკტურული შეცდომებიც თითქმის არ მოიძებნება ამ გამოცემაში. ამისთვის „იმერეთის„ ხელმძღვანელს ქართველი მკითხველისგან მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. მაგრამ უფრო დიდის მადლობის ღირსია ჭეშმარიტათ ბატ. ი. მანსვეტაშვილი, რომელიც ასე გულწრფელათ და დიდათ აფასებს ქართლოსიანთა ერის მეცხრამეტე საუკუნის დიდებას - აკაკისაც და იმის ნაწარმოებთა მკითხველსაც. მან განიზრახა აკაკის ყველა ნაწერების გამოცემა სულ მთლათ სწორეთ ისე, რთგორც ცნობილმა მკურნალმა მიხეილ გედევანიშვილმა ილიას ნაწერების გამოცემა. გამოცემის ხარჯს, რაც ფული გადარჩება, ეს სულ მგოსან აკაკის გადაეცემა და იქიდან ერთს გროშსაც არ აიღებს ბ. ი. მანსვეტაშვილი. ამ უკანასკნელმა ბ. ის. კვიცარიძეს წინადადება მისცა, რომ მან მოიწვიოს მცოდნე ლიტერატორთა კამისია, რომელიც შეეცდება აკაკის ნაწერების თავის მოყრას, სისტემაზე დალაგებას და ასე გონივრულის ლიტერატურულის შრომით დიდის დიდებით სასახელოთ დააგვირგვინებენ ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საქმეს.

იცით, მკითხველო, ვინ არის ეს ი. მანსვეტაშვილი? მოკლეთ მოვკრიბოთ ყვა. ეს ჩემი კარგი ნაცნობი იაკობია, რომელიც 80-იან წლებში ილიას „ივერიაში“ ათავსებდა ყოველ შაბათობით ნიჭიერათ დაწერილს ფელეტონებს „უცხოთა-შორის“ დონ-იაგოს ფსევდონიმით. იმისი ფრიად სანდომიანი, ნიჭიერი შავი თვალები და მხიარული, ოდნავ დამცინავი სახე ახლაც წინ მიდგას ნათლათ... ერთ დროს იგი იყო ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების მდივნათაც, შემდეგ კი თფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მსახურებდა მდივნათ და, ოჯახობას რომ მოეკიდა, ამავე ბანკის გამგეობამ იგი ბაქოში გაისტუმრა, როგორც ნიჭიერი კაცი,

იქაურ განყოფილების მმართველად. იგი აქ ნავთის სამეფოში, რაღაც 12—14 წლის განმავლობაში მილიონერი შეიქნა და, აი, მეც ეს დიდი გარემოება მინდა გულწრფელათ მივულოცო სწორეთ დღეს მთლათ ქართველობას. იაკობი, შედარებით, ჯერ კიდევ ეხალგაზდა კაცია, ფრიად ცოცხალი, ნიჭიერი. დიდი პატრიოტი და ღრმა მოყვარული თვისი დაჩაგრული ერის სა, ამასთანავე წმინდა დემოკრატიც, ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით. ვუსურვოთ, ჩემო მკითხველო, მას დღეგძელობა...

ადამიანი რომ კარგათ დაუკვირდეს ქართველთა განვლილ ცხოვრებას, სწორათ, ღრმათ ჩაიხედოს ამ ცხოვრების დუღილში, მიუცილებლად, განვითარების პროცესის თანდათანობას შენიშნავს. ქართველთა ცხოვრების ყოველ გამოსახულების ყოველი მხარე, ყმების გათავისუფლების შემდეგ, განიცდის განახლებას, ახალი, ევროპული მოძრაობის ძლიერს ზედ-მოქმედებას და ქართველ მშრომელ ხალხს იწვევს სამოქმედოთ და სასიცოცხლოთ.

შეუჩვეველ თვალს, ახლათ გამოფხიზლებულ ადამიანის გონებას პირველ შეხედვისთანვე ეგონება, რომ საქართველოში რაღაც დიდი სასწაული მოხდაო, რაღაც უხილავმა ძალამ სულ შეარყია ცხოვრება და ძლიერათ დასძრა იგი ერთი ადგილიდან. დაიძრა, ახმაურდა და იბრძვის ეს ცხოვრება, რომელსაც ამიერიდან ვერ შეაჩერებს ვერავითარი ბოროტი ძალა. მას აქეთ ამ ერთი ადგილიდან დაძრული ცხოვრება დღითი დღე ყოველ ადგილს, ყოველ დღე ახალ ახალ პატარა სასწაულებს გვიჩვენებს და ჩვენებური კაცის გრძნობა-გონებას ნათლად ვერ გაურკვევია, თუ საიდან არის ყველა ეს მოვლენილი, საიდან იწყება დასაბამი ამ ძლიერი, რაღაც ახალი ხმაურობის, რომ ჩქეფს ასე სიცოცხლით და მღვიძარებით.

დასაბამი ამ ახალი, ძლიერი მოძრაობისა ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ დიად ისტორიულ ამბავში—ყმების გათავისუფლებაში, რომელმაც განადიდა, გაალრმავა ნიადაგი ახალი კაპიტალისაც და ახალი, ჯერ ჩვენში არ ნახულის თავისუფალის შრომისაც. ამგვარათ, საქართველოს არე-მარეზეც დაიწყო

საქონლით (товарное) წარმოების ახალი ხანა და განახლებულს ჭაბუკს ცხოვრებას ძლიერათ დაუბერა ახალმა სიცოცხლის მომგვრელმა ძალამ და სულმა...

დიადობა ქართველი ერის ახალი სულისა გამოიხატა ნამეტურ ლიტერატურაში, რომელსაც აღუჩნდენ ახალი იდეების, გრძნობათა და ფიქრების, ახალი ზნეობის კაცები და სათავეში მოექცენ მას. ასე წოდებული, „თერგ-დალეულები“ იყვნენ ჩვენში პირველი პიონერნი, პირველი მერცხლები. რომელნიც ბედნიერათ და სასიხარულოთ მოევლინენ ქართველთა ახალს ცხოვრებას და ლიტერატურას, ღრმათ, ნიჭიერათ ჩაიხედეს ქართველი კაცის გულში, შვენიერი სიტყვებით ხელოვნურათ აღწერეს მისი ცხოვრება, სურვილები და სამერმისო მისწრაფებანი და, ამნაირათ, სამარადისო სახსენებლათ გახადეს თავიანთი კალმის ნახატი სურათები, თავისი საკუთარი ნააზრები და ნაფიქრალნი, მთელი იმ დროის შემოქმედობა...

იმ დროის ერთმა დიდმა ამირანმა — აკაკიმ უკვდაების სული ჩაბერა და საუკუნოთ მიანიჭა ქართულ ლირიკას და ლიტერატურას ღვთაებრივი, ანგელოსივით ტურფა, უნაზესი ფორმები სუბუქად გამოთქმისა და აღმაფრენისა მან მიანიჭა მრავალ-გვაროობა და მრავალ-ფეროვანება, დიდისაგან დიდი ს ხიერება მთლად საქართველოს ქვეყნის შვილთა ნიჭიერებას ყოველ-ნაირი, ღვთისგან ნაკურთხი საშვალებით დიდათ თავის გამოჩენისა, ამაღლებისა, აღმატებისა და საუკუნო უკვდავებისაც..,

აკაკიმ ჩაუდგა სული ქართულს ახალს მწერლობას, ქართველობას გულში ჩაუნერგა სასიკოცხლო დიდი იმედები მომავლისა, დიდათ სულგრძელი და ვაჟკაცური მტკიცე ხასიათი ჭირში მოთმინებისა, ქველობისა, ღრმად ტანჯვისა და მხიარულებისაც... ჩემი ფიქრით, მთელი ჩვენი პატარა, მაგრამ მეტად ტურფა მშობლიური ქვეყნის არე-მარეზე არ იყო არც ერთი ქართველი, რომ იმასავით დაახლოვებული, დანათესავებული, სულით და გულით დამეგობრებული ყოფილიყო ჩვენში ყოველი წრის, ყოველი წოდების, ყოველი ასაკის ქართველს, ორივე სქესისას და ყველა სარწმუნოებისას-როგორც ეს ჩვენი თანამედროვე დიდი ივერიელი — მგოსანი აკა, კი. ქართველი კაციც, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მდიდარი,

თუ ლარიბი, მოხუცი, თუ ჭაბუკი, ერი, თუ ბერი, ქალი თუ კაცი მასში ეძებდა და პოულობდა თვისი ფხიზელი ნიჭის და ცოდნის ძალთა გამოხმაურებას, გამოქომაგებას, გამხნევებას აუღელვებლათ, შეეხეთქებლათ, აუჯანყებლათ, სისხლის დაუღვრელათაც... ქართველობასაც სწორეთ ასეთი სულგრძელი ამირანი ესაჭიროებოდა ამ ნახევარი საუკუნის დიდათ განსაცდელიანი დროის განმავლობაში. სწორეთ იმ დროს, როცა იგი ახლად იკრებდა თვის შემოქმედს ძალებს, ჭაბუკობდა, იძენდა სამოქალაქო გამოცდილებას და თავდაჭერას ცხოვრებაში, ესე იგი, ევროპული ცოდნის და ცხოვრების გამოცდილების შეძენის ხანაში, იყო სულერთიანათ ჩაყურჭუმალებული.

და განვითარებაც ქართველთა ნორჩი აზროვნებისა, მხატვრობასაც და ლიტერატურისაც მიდიოდა თანდათან წინ, თუმცა, უნდა ვთქვათ, ძალიან ბევრ ხელის შემშლელ პირობებში იყო მომწყვდეული. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამ ვითარებამ სძლია ყოველი ხელის შემშლელი დაბრკოლება და ლიტერატურა ჩვენი, განსაკუთრებით, ქართული ლირიკა დიდი მგოსნის მადლიანი მოღვაწეობით აღვიდა უაღრეს, უშესანიშნავეს ხარისხამდი.

არ არის ლიტერატურის არც ერთი დარგი, საცა აკაკის თვისი წვლილი არ შეეტანოს, თვისი დიდი ნიჭის ნამდვილ შესაფერი. ლირიკის გარდა, სადაც იგი მეფეთა მეფის ტახტზე ზის, პუბლიცისტიკა, ფელეტონი, დიდათ მახვილი, სარკასტული ცოცხალი, დიდი მღელვარე ძლიერი ტალანტით აღსავსე „ცხელ ცხელი ამბები", იმისი ბელეტრისტიკა და დრამა — კომედიები, მეცნიერული ნაშრომები და ლექციები, პედაგოგიური და ისტორიული ნაწერები, ყველა ამ ნაწმრომებით გამდიდრებულია ქართული ლიტერატურის სალარო, რომელიც ერთს უდიდეს, უმდიდრეს განძს წარმოადგენს ქართველთა გონების გავითარების ისტორიაში.

ამ რიგათ, აკაკის შემოქმედებითმა ტალანტმა უქარტეხალოთ, აუჯანყებლათ, სისხლის დაუღვრელათ ქართველთა ცხოვრებაში მოახდინა დიდი, ფას დაუდებელი მშვიდობიანი რევოლიუცია, რომლის მეოხებითაც ძირს დაეცა ძველი

ქვეყნის ტახტზე ბძანებელი, წარმომადგენელი, ძველი, დიდ კაცური ენა, სიტყვა-პასუხი, რიტორება, კერპები, ჩვეულებანი, ადათები, ხასიათები და შესანიშნავმა მემკვიდრეობით, ჩამამავლობით არისტოკრატმა, ამ ჩვენ დროის დიდმა ოვერიელმა შექნა და გააბორიელა სრული, სპეტაკი უბრალოება, ალალმართალობა და ხალხის, ჭეშმარიტი დემოკრატიზმი...

აკაკის მიმადლებული აქვს რაღაც განსაკუთრებული იუმორისტული ტალანტი მგოსნის ცოცხალი, მგზნებარე გრძნობა-გონება ძალიან ადვილათ, სრულიათ დამოუკიდებლ'ო ორგინალურათ კვეთს ულმობელი ცხოვრების მოვლინებითა წინალმდეგობას, დიალეკტიკას და, როცა მხატრულათ გამოხატავს მას ხოლმე, მკითხველში და მაყურებელში იწვევს სიამის, დიდი ნეტარების მომგვრელს სიცილს და თან ნაზს, მეტად მწარე სიცილსაც. ამ გვარი განსაკუთრებული, მარტო და მხოლოთ მისი ტალანტის თვისება, მთელ მის თაობაში და ამხანაგობაში, მარტო იმას ერთს ხვდა საჩუქრათ ბუნებისაგან და ამან უფრო შეაყვარა მთლათ ქართველობას ეს საოცარი ჩვენი ქვეყნის მუდამ შუბლ გაშლილი და საოცნებოთ მომღიმარი შვილი.

1908 წელს გასულს ამ უპირველეს ქართველ მგოსანს შეუსრულდა ორმოც და ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოსულა და იღვწის თვისი დიდათ დაჩაგრული ერის სასახელოთ.

ამისთვის დიდათ მადლიერმა საქართველოს შვილებმა, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, სქესისა, აკაკის ყოველგან დიდი დიდებით გადაუხადა იუბელე და ეს უბილე იდღესასწაულა ჯერ ჩვენში არ ნახული, არ გაიგონილი ზეიმით და ძლიერებით.

აკაკის სხელი ქართველოა ამაყობის და დიდ სულოვნობის, შემოქმედობის სიმბოლოა და ამ სახელს ისეთევე დიდიმნიშენელობა აქვს იმისთვის, როგორც ალექსანდრე პუშკინს — რუსთათვის, ადამ მიცკევიჩს — პოლონელთათვის. დიდი სამწერლო ტალანტით ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულს, რომლის ნიშნობლივი თვისება იმაში გამოიხატება, რომ მას სრულიათ დამორჩილებული, დაძლეული ჰყავს ქართული

ენა, მისი სამხატვრო სალიტერატურო ფორმები, რომლის წყალობითაც მან შექმნა მთელი შკოლა ლორიკოსთა და მეფელეტონეთა და თვისიმეტად მძლავრი, უნაზესი, უშვენიერესი გრძნობებით ცოცხლათ დახატა მთლად ქართველობა ჭირსა და ლხინში, წარსულშიც და აწმყოშიაც. მგოსანი ერთი უდიდესი მოტრფიალეა სახალხო ზეპირ-სიტყვებისა და პოეზიისა, მთლად, მთელის არსგბით ჩაყლაპულია ქათველი ერის სახალხო შემოქმედებით და იქიდან, ამ უძირო დაწმენდილ ზღვის უფსკრულებიდან იღებს ძვირფას მარგალიტებს და ქმნის გასაოცარ ხმებს და მელოდიებს..

ხომლელი.

(შემდეგი იქნება).

ახლო აღმოსავლეთი.

აგერ ნახევარი წელიწადი სრულდება, რაც დაიწყო უსაშინელესი, მთელი სოფლიოს ომი, რომლის თავზარდამცემის საშიშროებით მდიდრულათ მორთულ კაბინეტებში მსხდომ დიპლომატებს დიდი შიშის კანკალი ქონდათ ავარდნილი, კაი ხანია.

ხუთი პირველ ხარისხოვანი, დიდი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფონი საბედისწერო გამწარებით ერთი მეორეს დაერიენ და ევროპის, აზიის და აფრიკის ხმელეთზე და ზღვებზე წარმოუდგენელი სისხლის ღვრებია ატეხილი. მხოლოთ ერთათ ერთი პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო იტალია სოფლიო ომში არ ჩარეულა და ნეიტრალიტეტს იცავს ჯერჯეროებით...

საბაბი ამ ომისა შეიქნა ის გარემოება, რომ შარშან 1914წ. 15 ივნის ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი დ, ესტე და მეუღლე იმისი ჰერცოგინა ჰოჰენბერგისა სერბიელმა, მერვე კლასის გიმნაზიელმა პრინციპმა ბრაუნინგით მოკლა.

16 ივლის ავსტრიამ სერბიას ომი გამოუცხადა.

ამ რიცხვებშივე მოხდა საერთო მობილიზაცია რუსეთში და ამიტომაც გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს 19 ივლის და 20 რიცხვს უკვე გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი გერმანიასთან ომის შესახებ.

ამას თან მოყვა გერმანიის ომი საფრანგეთთან და ბელგიასთან, რომელმაც, თავის მხრით, გამოიწვია ინგლისის ომი გერმანიასთან.

24 ივლისს ავსტრიამაც ომი გამოუცხადა რუსეთს.

რა თქმა უნდა, შავგორეთი (ჩერნოგორია) ამ ომში განმარტოებით ვერ დატოვებდა სერბიას და იმანაც ომი გამოუცხადა ავსტრიას.

საფრანგეთმა და ინგლისმაც ომი გამოუცხადეს ავსტრია-უნგრეთს.

იაპონიამაც ომი გამოუცხადა გერმანიას და ამით აზიაც შეიქნა მონაწილე ამ დიადი სოფლიო ომისა.

გერმანიამ ინგლისს აფრიკის ტერიტორიაზე აუჯანყა ბურების ერთი ნაწილი და აფრიკის მიწა-წყალიც სისხლით შეღება ახლანდელმა ომმა.

გერმანიის წაქეზებით ოტტომანთა იმპერიაც ჩაერია ამ ომში და იმის სამხედრო გემები შავს ზღვაში მოულოდნელათ ოქტომბრის 16-ს თავს დაეცა ადესას, სევასტოპოლს, ფეოდოსიას, ნოვოროსისკსაც და ყუმბარები დაუშინა.

მაშინ, რასაკვირველია, რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ გარემოებამ გამოიწვია ოსმალეთთან ომი ინგლისისა და საფრანგეთისაც... და, აი, **ახლო აღმოსავლეთის** დიდი საკითხი სწორეთ დღეს წამოდგა ჩვენი თვალის წინ მთელი თვისი სიღრმითა და შინაარსით, რომელსაც ჩვენმა ჟურნალმა დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ქართველი კაცის ჭკუის გამოსაფხიზლებლათ.

მაგრამ, სანამ მკითხველს წარვუდგენდე ახლო აღმოსავლეთში ამტყდარ დიდი ამბების სრულს სურათს, ფრიად საჭიროა ქართველმა კაცმა უსათუოთ იცოდეს, თუ საიდან, ან როდის გაჩდენ ოსმალები იმ მიწა-წყალზე, საცა იგინი ახლა ცხოვრობენ. ამიტომ იძულებული ვარ ძალიან შორიდან დავიწყო დღეს ჩემი საუბარი.

ლიპერტი, ეს უშესანიშნავესი ისტორიკოსი ამ ჩვენი

დროისა, როცა ეხება აზიის ხმელეთს, იგი დიდის ნიჭიერებით ხსნის ათასი უგვარო, მეჯოგე და ყაჩაღი ხალხების ურთიერთშორის ატეხილს გამწვავებულს ბრძოლას საძოვარი ადგილებისთვის.

თურქთა სელჯუკების შესახებ, აი, რა ცნობებია ისტორიაში.

აზიის აღმოსავლეთის არე-მარეზე ასეთი ბრძოლის დროს მე X საუკუნეში დიდათ თავი ისახელა გუზების შტოდან ერთმა ძალიან მამაცმა, ვილაც თურქმა, რომლის სახელი იყო **სელჯუკი**, ამ სელჯუკის ბატონობის ქვეშ თავი მოიყარა და შეჯგუფთა ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც ყოვლის მხრიდან აუარებელი უსაქმო, მოხეტიალე, მშიერი ხალხი მიიზიდა. 955 წ. ქრესტეს დაბადების შემდეგ, ეს უშველებელი ურდო კალიასავით მოედვა სირდარიის მდიდარს ნაპირებს და ზედ დასახლდა. ამ ურდომ სულერთიანა დაანგრია და დალეწა მეზობელი, მიწის მუშა ხალხი, რომელიც ყაჩაღურ ცხოვრებას უარს ყოფდა და კულტურულურათ, შედარებით, წინ წასულიყო ეს ნომადები ამ მუშა ხალხს ნაოჟლარით ძღებოდა და დროს ატარებდა. ამ ნაირის ნადავლითა და ხალხების ხოცვა-ჟლეტით გაძლიერებული სელჯუკის შვილის შვილებმა თორგულ ბეგმა და ჩაქირბეგმა დაიპყრეს ძალიან ბევრი ქვეყნები და, ბოლოს, დიდ სულთანებად გადაქცენ. ამათ დაიპყრეს დიდი სპარსეთის იმპერია; ხორასანი, გერათი, სეჯესტანი, ჯორჯანი, ტაბარისტანი, ხვარეზმი, აზერბეიჯანი და ბაღდათი.

თორგულ ბეგის სიკვდილის შემდეგ, იმისი ძმისწული ალპ-არსლანი შეიქნა სულთანი სრულიად ირანისა. ამ დიდი სულთანის სიკვდილს შემდეგ, ირანის ტახტზე ავიდა მისი ღირსეული შვილი, დიდი მელიქშაჰი (1072—1092 წ. წ.). ამან დაიპყრო: სირია, სომხეთი, საქართველო; მცირე აზიაზე ბიზანტიის იმპერიას სულერთიანა ხელი ააღებია. შემდეგ მან ადვილათ აიღო ბუხარა და კაშგარიც. ამგვარათ, დიდი შელიქ-შაჰის ბატონობა მთელი აზიის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული ჩინეთის საზღვრებიდან მოყოლებული ბოსფორის ლურჯ ზვირთებამდი. სულთანის მელიქშაჰის სატახტო ქალაქი ამ დროს იყო ისპაჰანი.

ბაგრატ IV მეფობის დროს საქართველოში შემოიჭრა

ალპ-არსლანი და მისმა საშინელმა მზღვათ მომსკდარმა ურდოებმა სულერთიანა ააოხრა ქართლი, კლარჯეთი, ტაოშავშეთი, კოლა-არტაანი, ლაზის ტანი და თვით დიდი სულთანი კი თრიალეთს დაბანაკდა. თურქებმა სელჯუკებმა ჯავახეთი სულ მოსპეს და ქალაქ ახალ ქალაქში „მოსწყვიდნეს მუნ-მყოფნი ესრედ რამეთუ შეიღება მდინარე იგი სისხლით. აქედან წასულმა შემუსრა ანი და მისცა მანუჩარს...“

ალპ-არსლანი მეორეთაც შემოიჭრა კახეთის მხრიდან საქართველოში. მოაოხრა და მიანგრ-მოანგრია მთლათ ქართლი, გადმოიარა სურამის ქედი და აიკლო არგვეთი: „მოსრნეს ურიცხვნი ქრისტიანენი და იქმნა დღე ბნელი და წვიმა სისხლისა“.., ალპ-არსლანი 1072 წელს შვიდასი ათასი ჯარის კაცით ძლევა მოსილი დიდის დიდებით შევიდა სამარყანდში და, აი, აქ ამ დროს ვიდაც თურქმა მოჰკლა დიდი ალპ-არსლანი და ჩვენმა მრავალ ტანჯულმა ქვეყანამაც თავისუფლათ ამოისუნთქა.

საქართველოს მეფემ. გიორგი II მტერზე ძლიერ გაიმარჯვა და ისევ უკანვე დაიბრუნა: ანი, აზრუმი და მთლათ მდინარე ჭოროხის ხეობაც. მაგრამ ამ დროს სულთანი მელიქ შაჰი ურიცხვი ჯარებით ქარიშხალივით შამოვარდა საქართველოში და ბრწყინვალე დღეები კვლავ დაუბნელა მას. საქართველოს არე-მარენი კვლავ თურქებით აივსო და გიორგი მეფე აჭარის გზით აფხაზეთს გაიქცა.

ქართველებს ამ ქვეყნათ იმედი აღარსაიდან ქონდა. ერთათ ერთი იმედი დანუგეში საქრასტიანო ქვეყანა ბიზანტია იყო. მაგრამ ძლიერმა თურქებმა-სელჯუკებმა იგიც იმდენათ შეასუსტეს, რომ სრულებით თავი მიანებეს მცირე აზიას და საქართველოსაც. დიდმა მელიქ-შაჰმა თვისი მეომარი სელჯუკებით ბიზანტიის ნაქონები ქვეყნები სულ მთლად დაიპყრო და თვით ბიზანტიის იმპერატორი რომანოზი IV და დიოგენი ტყვეთ ჩაუვარდათ ხელში სელჯუკებს.

წინათ შემოსეული თურქნა-სელჯუკები, ოღონ უკან გაბრუნდენ, გზაში, აზრუმის ახლოს, იმათ წინ შეხვდა სელჯუკთა სრულიად სხვა ბრბო, რომელიც პირდაპირ კონსტანტინეპოლის გასაცარცვავათ და დასარბევათ მიდიოდა გამხნევებული. ეს მეომრები პირველებმა შეაჩერეს, უჩვენეს საუნ-

ჯენი და ნადავლი საქრისტიანო ქვეყნის—საქართველოს მეფის გიორგისა და უთხრის: „აჰა ქვეყანა უკაცური, საბერძნეთს რას მირბით, იქ ბრძოლით უნდა იშოვოთ და აქ-კი ყოველივე ოხრად და უპატრონოთ არის“... მოეწონათ ეს წინადადება, რასაკვირველია, ამ ყაჩაღ ბრბოს. მთელი საქართველო 1080 წელს კვლავ აივსო თურქ-სელჯუკებით, ირტაანი, კლარჯეთის უდაბნონი ჭოროხის ხეობაში, ქუთაისი ჭყონდიდი და ქართლი სულ ერთიანა გაცარცვეს და გადასწვეს... და წავიდენ.

მწარეთ გულმოკლული მეფე გიორგი, ბოლოს, სულთან მელიქ-შაჰს თვითონ ეახლა და დიდის მოწიწებით პატივება სთხოვა. თან შეავედრა, შეაბრალა მას თავისი დიდათ გაუბედურებული ქვეყანა. მელიქ-შაჰმა დიდი პატივისცემით მიიღო გიორგი მეფე, აღუთქვა შემწეობა, მისცა ჯარიც თავის ქვეყანაში წეს-რიგის დასამყარებლათ და სელჯუკების ბრბოთა გასარეკათ. მხოლოთ გაორგი მეფეს მოსთხოვა ხონთქარმა ხარკი, რომელიც ყოველ წელიწადს უნდა ეძლია იმისთვის.

როცა დავით აღმაშენებელი საქართველოს ტახტზე ავიდა, ოთხი წლის მეფობის შემდეგ, დიდი სულთანი მელიქ-შაჰი სამარყანდის სულთანის ქალისგან მოწამლულ იქნა ბაღდადში 1092 წელს. სწორეთ ამავე დროს სელჯუკებს მოუკვდათ დიდათ დიდი ნიჭიერი და ჭკვიანი ვეზირი ნიზამ-ოლმოქი, რომელიც განაგებდა მთელი ირანის სახელმწიფო საქმეებს. ამ ორი დიდი მამულისშვილის სიკვდილს შემდეგ სრულიათ დაირღვა სელჯუკთა სახელმწიფოს ერთობა, მთლიანობა და სელჯუკები, ოთხ ტომათ გაიყო.

პირველი და უმთავრესი ტოტი—მელიქ-შაჰის ჩამომავალნი ირანის სახელმწიფოს შუაგულს და აღმოსავლეთის წვეყნებს ფლობდენ. მეორე ტოტი იყო ქირბანისა რომელსაც ფლობდენ ალპ-არსლანის ჩამომავალნი. მესამე ტოტი ფლობდა სირია—მესაპატამიას (ორ მდინარვთა შუა ადგილებს) ყველაზე უფრო საყურადღებოა მეოთხე ტოტი მცირე აზიისა ან უკეთა ვთქვათ, იკონიისა. აქ გამეფებული იყვენ ორგულ ბეგის ბიძაშველის კუთულ მიშას ჩამომავალნი: ყილიჯ-არსლანი 1: ამისი შვილი იყო ჰეასიდინი ქაიხოსროვი 1, რომელიც ბარბარუსას ეომებოდა და დაიღუპა თეოდორე ლასვარისთან

ომში. იმის შემდეგ იყო რუკნედინი სულეიმანი, რომელმაც საშინლათ დაამარცხა ლასვარისი და იმპერატორი ალექსი კეიკაუსი (1211—1219 წ. წ.). ბოლოს, მთელს ქვეყანას მოედვა მონგოლები და ესენიც დაიმორჩილეს მონგოლებმა. ასე რომ მეცამეტე საუკუნის მიწურულებში სელჯუკების დინასტია სრულიათ გათავდა და გაქრა დედა-მიწის ზურგზე. მთელი აზიის ხალხი სულ ერთიანა მონგოლებში გაითქვიფა..,

გულკეთილა.

(შემდეგი იქნება).

ქართული თეატრი.

საერთაშორისო ომმა დიდი აფორიაქება შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან თვისკენ მიიპყრო მთელი ყურადღება: ყოველგვარი სოციალური და პოლიტიკური მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებისა სრულიად დაჩდილა. საზოგადოებრიობის მაჯისცემა მინელდა, გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა შეფერხდა და, აი, სწორედ ასეთ არევ-დარევის ხანაში დაიწყო ქუთაისში ქართული წარმოდგენები. დრამატიული საზოგადოების გამგეობა შიშობდა სეზონის დაწყებას. მის შიშს გამამართლებელი მიზეზებიც ედვა სარჩულად —ქუთაისის მაღალი ინტელიგენცია და შეძლებულნი მშვიდობიან დროსაც არ დაიარებოდა ქართულ წარმოდგენებზე და რა იყო თავმდები იმის, რომ ამ არეულობის ხანაში დაიწყებდა სიარულს. სეზონის დაწყებისას რუსეთ—გერმანიის ომი უკვე გაჩაღებული იყო და მასთანავე რუსეთ-ოსმალეთის ომის შესაძლებლობაზეც დაჟინებით ლაპარაკობდენ თითქმის, ყველაზე მეტათ, ამ უკანასკნელ საფრთხის ეშინოდა თეატრის საქმეთა სათავეში მდგომთ. ჯერ კიდევ ოსმალეთთან არ იყო დაწყებული ომი, რომ ქართული წარმოდგენების სეზონი დაიწყო. დასის საუკეთესო შემადგენელობამ პირველ სამ-ოთხ წარმოდგენაზე საკმაოდ მიიზიდა ხალხი; მაგრამ, თქმა არ არის საჭირო, მალე იჩენდა თავს ქუთაური გულცივობა და მსახიობებსაც ცარიელი სკამების წინაშე მოუხდებათ თამაში, რომ საქმე სხვაგვარ არ დატრიალებულიყო: ფოთს, ბათუმს

და სხვა ჩვენ მეზობლათ მდებარე ზღვის პირას ქალაქებს „გებენმა“ ყუმბარები დაუშინა. მტრის ყუმბარებით დამფრთხალი ხალხი— ამ ქალაქებიდან ქუთაისში გამოიქცა თავშესაფარათ. ქუთაისი, ნაცვლად ერთ ქალაქისა, მთელი ოთხ ქალაქათ გადაიქცა და ქართულ წარმოდგენებსაც ამ უკუღმართი დროის მეოხებით დიდი მაყურებელი გაუჩნდა. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ იტყვიან ჩვენში, და სწორედ, ეს თქმულება გამართლდა: საერთო ჭირი-ომი ძალზე ხელსაყრელი და სასარგებლო შეიქნა ქუთაისის თეატრისათვის. სეზონი „ღალატით“ დაიწყო. საუკეთესო ძალთაგან შემდგარმა დასმა (ქქ. ტასო აბაშიძე, მარო მდივანი, ნინო დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, ჯავახიშვილი; ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ვ. შალიკაშვილი, არადელ-იხშნელი, ნიკო გვარაძე, მგალობლიშვილი, ვასო ურუშაძე, ილია მამფორია, გელოვანი, მურუსიძე და სხვა) პირველ წარმოდგენაშივე თავისი ცხოველმყოფელობა გამოიჩინა. ,,ღალატი'', თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ზოგიერთ წვრილმან დეფეკტებს, სრული ანსაბლით დაიდგა და მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. სეზონის გახსნიდან დასი გულმოდგინეთ მუშაობს, კვირაში ორ-სამ წარმოდგენას დგამს. ყველა წარმოდგენა მწყობრათ, ხელოვნურათ იდგმება, მაგრამ ერთი კია, რაიც ნაკლად ჩაეთვლება დასს: ძალიან მოგვიხშირა ძველი პიესები; და მათი („ღალატი“) რამოდენიმეჯერ განმეორება. ამ სეზონში ახალი ორგანული პიესები ჯერ-ჯეროობით ძალიან ცოტა დაიდგა. ამ გარემოებას საჭიროა ყურადღება მიაქციოს დრამატიული საზოგადოების გამგეობამ და დასმა საჭიროა ცდა აწი მაინც მეტი ახალი ორიგინალური პიესები გვიჩვენოს. მსახიობები, რომელ წარმოდგენასაც არ დავესწარი, მოხდენილი, საზრიანი თამაშით ერთმანეთს ეჯიბრებიან ამა თუ იმ პიესის გმირის განსახიერებაში; ყველა დაკისრებულ მოვალეობას პირნათლათ ასრულებს, მაგრამ ამ საერთო სისრულეში ჩვეულებრივათ მესხიშვილი პირველია: ძისი ცხოველმყოფელი ნიჭი შუქეო ვარსკვლავსავით ანთებს ქუთაისის სცენაზე.

ილიკო.

ᲩᲥᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲒᲐᲖᲐᲗ.